ეროვნული ბიბლიოთეკა


# ახალგაზრდა ივერიელი

გაზეთი გამოდის 1921 წლიდან

2 თებერვალი შაბათი 1991 № 13 (11646)

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კაპ.


## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია

**30 იანვარს** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველმა სესიამ განაგრძო თავისი მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანილი საკითხების განხილვა.

„საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში საიჯარო ურთიერთობათა დებულების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილების საკითხზე გამოვიდა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია. გაიმართა აზრთა გაზიარება, რომელშიც მონაწილეობდნენ დეპუტატები ნოდარ ნათაძე, გურამ მაქაცარია, ბიმურზა აფრასიძე, გიორგი ხოშტარია, მამიკონ ფიდანიანი, ავთანდილ რცხილაძე, თამაზ გუგუშვილი.

ცნობად მიიღო რა წარმოდგენილი დებულება, უზენაესმა საბჭომ თავის შესაბამის მუდმივ კომისიებს დაავალა დააჩქარონ საქართველოს რესპუბლიკის მიწის კანონის შემუშავება.

შემდეგ სესიამ განიხილა „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში დამატებათა შეტანისა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის გაწვევის წესის შესახებ კანონპროექტები. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის მდივანმა დეპუტატმა გიორგი გულბანმა.

დაიწყო კამათი, რომლის დროს თავიანთი თვალსაზრისი და წინადადებები გამოთქვეს დეპუტატებმა აპოლონ სილაგაძემ, როინ მეტრეველმა, თამაზ დიასამიძემ, ნუგზარ მოლოდინაშვილმა, მინდია სალუქვაძემ, თედო ნინიძემ, ნოდარ ნათაძემ, დავით ბერძენიშვილმა, ლევან ალექსიძემ, ბაკურ გულუამ და სხვებმა.

უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში დამატებათა შეტანის თაობაზე. პირველი წაკითხვით მიღებულია კანონი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის გაწვევის წესის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ, რომელმაც გააკეთა ინფორმაცია სამაჩაბლოში შექმნილი ვითარების გამო, სიტყვა მისცა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს დილარ ხაბულიანს. მან წარმოადგინა ვრცელი ინფორმაცია, თუ როგორ მოქმედებს საქართველოს მილიცია საგანგებო მდგომარეობის რეგიონში, სადაც ურთულეს პირობებში იცავს მოსახლეობის ინტერესებსა და უშიშროებას, ახსნა რეგიონიდან იქ დამატებით შეყვანილი მილიციის კონტინგენტის ცალკეული ქვედანაყოფების დიდი ნაწილის გამოყვანის მიზეზები. მინისტრმა უპასუხა დეპუტატთა კითხვებს. აღინიშნა, რომ შექმნილი მდგომარეობის გამო ცხინვალის ქართული მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი იძულებული გახდა დაეტოვებინა ქალაქი. დიალოგის დროს, კერძოდ, გამოითქვა წინადადება, რომ შეიქმნას სამაჩაბლოდან ლტოლვილთა რესპუბლიკური სამთავრობო კომისია. რაც შეეხება მილიციას, იგი კვლავ გააგრძელებს მოსახლეობის ინტერესებისა და უფლებათა დაცვას საგანგებო მდგომარეობის რეგიონში.

დეპუტატებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს საქა-

(დასასრული მე-2 გვ.)



# ჩვენები ცოცხლები არიან?

## ლტოლვილები...საქართველოდან!

იხ. მე-2 გვ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება დედაქალაქებსა და მსხვილ სამრეწველო ცენტრებში მილიციისა და არმიის ერთობლივი პატრულირების შესახებ სსრკ პრეზიდენტის ბრძანებულების საქართველოს ტერიტორიაზე შეჩერების შესახებ. გუშინ, 1 თებერვალს თბილისში არ გამოჩენილან იაზოვისა და პუგოს წარმოგზავნილები, არ გამოჩენილა ტანკები, ბრონეტრანსპორტიორები...

ეგზეკუცია ჩაიშალა? ვნახოთ, ამას მომავალი გვიჩვენებს.

(დასასრული)

რთველოს ტერიტორიული მთლიანობისა და მისი სახელმწიფოებრიობის ინტერესების დაცვის დროს დაღუპულთა ხსოვნას.

სესიამ განიხილა მუდმივი სამანდატო და დეპუტატის ეთიკის კომისიის წინადადება საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა დასაქმების შესახებ, რომელიც წარმოადგინა ამ კომისიის თავმჯდომარემ, დეპუტატმა ბიძინა დანგაძემ, და მიიღო შესაბამისი დადგენილება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ ამ რესპუბლიკის კანონის გამო გამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია. აღინიშნა, რომ ამ კანონის მე-2 მუხლის თანახმად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში შეიძლება არჩეულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, რომელიც მუდმივად ცხოვრობს აჭარაში. ამავე დროს, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 46-ე მუხლის შესაბამისად ასეთი უფლება აქვს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ცხოვრების მუდმივი ადგილის მიუხედავად.

ამ საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ დეპუტატები ნოდარ ნათაძე, ნოდარ იმნაძე, ამირან კალაძე, რამაზ სურმანიძე, გიორგი ხავთასი, დავით არევაძე და ლევან ალექსიძე.

უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომლითაც ცნო, რომ იურიდიული ძალა არა აქვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ ამ რესპუბლიკის კანონის დებულებას, რომელიც ზღუდავს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქის უფლებას, იყოს არჩეული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს წინადადება მიეცა, გადადოს არჩევნები და შეუსაბამოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარჩევნო კანონი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას.

სესიამ მოისმინა უზენაესი საბჭოს მუდმივი საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის, დეპუტატ ტარიელ გელანტიას ინფორმაცია და მიიღო დადგენილება რესპუბლიკის ტერიტორიაზე „სსრ კავშირში კოოპერაციის შესახებ" კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის შეჩერების თაობაზე.

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის ჯონი ხეცურიანის წარდგინებით უზენაესმა საბჭომ განიხილა და მიიღო კანონი საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსსა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

სესიაზე გამოსულმა დეპუტატმა ალექსანდრე ჟღენტმა დააყენა საკითხი, რომ უნდა დაჩქარდეს რეფორმები ქართული კინემატოგრაფის სისტემაში. ამასთან დაკავშირებით სესიამ გადაწყვიტა შექმნას ამ რეფორმათა განხორციელებისათვის საკანონმდებლო საფუძვლის შემმუშავებელი სპეციალური კომისია.

უზენაესმა საბჭომ განიხილა მომავალი საკავშირო რეფერენდუმის საკითხი და მიიღო გადაწყვეტილება, რომ რეფერენდუმში მონაწილეობა არ მიიღოს საქართველოს რესპუბლიკამ და მოეწყოს რესპუბლიკური რეფერენდუმი ამა წლის 31 მარტს, რომლის დროს საქართველოს მოსახლეობა გამოხატავს თავის დამოკიდებულებას საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის საკითხისადმი.

ცალკეულ საკითხებზე, რომლებიც აღელვებს რესპუბლიკის მოსახლეობას, განცხადებები გააკეთეს დეპუტატებმა ნუგზარ მგალობლიშვილმა და ტარიელ გელანტიამ.

სესიამ საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოების არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ დაამტკიცა არჩილ ჭირაქაძე.

ამით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

**საქინფორმი**

# ჩვენები ცოცხლები არიან?



**დღეისათვის** სასტუმრო „აფხაზეთი" სამაჩაბლოდან ლტოლვილთა თავშესაფარად იქცა. ოფიციალური მონაცემებით, მათი რიცხვი 1500-ზე მეტია. ისინი — ქალები, ბავშვები, მოხუცები, მამაკაცებიც — დაბნეულობით, შიშით, მოლოდინით დაღდასმულები ახლა თითქოს ერთ დიდ, სკასავით მოზუზუნე ოჯახში ცხოვრობენ. ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილნი ელიან სამაჩაბლოდან ჩამოტანილ ახალ ამბებს იქ დარჩენილი ოჯახის წევრებისა თუ ნათესავების ბედზე.

— ნეტა თუ ჩვენები ცოცხლები არიან?

ძნელად გასაცნობიერებელ ამ ფრაზის უკვე მიჩვია ლტოლვილთა სმენა. მეხვეწებიან, მათი სახელები და გვარები არ მოვიხსენიო, რადგან შეიძლება იქ დარჩენილ მათ ნათესავებს ეს „სიცოცხლის ფასად დაუჯდეთ".

— ქალაქის ცენტრში ვცხოვრობ. არაფერს ვამბობ სროლისას რომ ზუზუნი გაჰქონდათ სახლზე ტყვიებს. ერთ პატარა ოთახში შევიყუჟებოდით ხოლმე, იქიდან წამოსვლას, ჩემი ოჯახის დატოვებას არ ვაპირებდი, მაგრამ დარჩენა შეუძლებელი გახდა. ღამე რამდენჯერმე დაგვიბრახუნეს კარებზე. აქედან თუ ახლავე არ აბარგებულხართო— და ისეთი სიბინძურე უთხრეს მეუღლეს, გამეორებაც მიჭირს. გოგონების პატრონი ვარ, რა მექნა... ჩავყარეთ პატარა ჩანთაში ზოგი რამ და მეზობელ ოსს გამოცილება ვთხოვეთ. გარეთ გამოსულებს მეზობელი ქალები ქვებით გამოგვეკიდნენ, სხვებმა გააჩერეს, ამათი გულისთვის ციხეში წასვლა არ ღირსო. ძლივს გამოვაღწიეთ. ჩვენს კორპუსში მხოლოდ ერთი ქართული ოჯახი ცხოვრობდა, მაგრამ აივანზე გამოსულები ერთმანეთთან გამოლაპარაკებასაც კი ვუფრთხოდით. ახლა კი არა, კარგა ხანია ასეა. პურის რიგში ველარ ვდგებოდი, ამ ქართველ ღორს პურს ნუ მისცემთო, — მოითხოვდნენ.

ჰოდა, წამოვედით-მეთქი იმავე საღამოს, თავი დედაჩემთან შევაფარეთ. დილაუთენია ისევ შევიარეთ ბინაში, ერთიანად გაძარცვული და გაპარტახებული დაგვხვდა.

— ბოლო წლებში მეტისმეტად შეგვიძულეს: ჩვენს ბავშვებს უფლებას არ აძლევდნენ, იმათთან ერთად ეთამაშათ ეზოში. ცალკეული კარგი ოსი მეზობელი რას გიშველის... ერთი მათგანი რამდენი ხანი მეთვალყურეობდა დედაჩემის ბინას, მაგრამ კედელზე მიაყუდეს, მოღალატე უძახეს და მაინც თავისი გააკეთეს.

— გორბაჩოვის ბრძანება რომ გამოაცხადეს, სულ „ურას" იძახდნენ კორპუსებიდან, — გათავხედდნენ. შობა დღეს ეკლესიის სამრეკლოზე სროლა ატეხეს. აქ უნდა ჩაგხოცოთო.

— ყველაფერს გვინადგურებენ. სახლებში შემოდიან, თეთრეულსაც კი ნაკუწ-ნაკუწ ჭრიან...

— გოგი მუსხელიშვილს სახლში მიეჭრნენ, ხელები და ფეხები გადაუმტვრიეს. ავადმყოფი მწოლიარე დედა გადმოუგდეს მეორე სართულის ფანჯრიდან. რაღას გადარჩებოდა. და ამას მეზობლები აკეთებენ.

5 წლის ბავშვი არ დაინდეს. არ დაინდეს 50 წლის ექიმი ქალი, რომელიც მთელი ცხოვრება მათ ემსახურებოდა.

— შ-მ თავი ჩამოიხრჩო — ამბობენ, თვალწინ გაუუპატიურეს ცოლ-შვილიო. ახლახანს აქ იყო, მათ ჩამოყვანას აპირებდა, ახლა შემოთვალეს, დამმარხავიც არავინა ჰყავს, ვინ ხართ პატრონიო.

— ჩემი თვალით მინახავს, როგორ გამოჰყავდათ იარაღით დატვირთული მანქანები ცარზის დასახლებაში მდებარე „ბონიდან"

— დიდი ხანია, ვიჩაგრებით, ჩვენი უმაღლესდამთავრებულნი წლების მანძილზე სამსახურს ვერ შოულობდნენ, ხელმძღვანელ თანამდებობაზე მხოლოდ ოსებს ინიშნებოდნენ. მათ ველოლიავებოდით, სამსახური რომ არ დაგვეკარგა.

სასტუმროს შემოსასვლელში მამაკაცები შეკრებილან. — იარაღი ჩვენ არა გვქონდა, საკუთარ ოჯახში ავტომატებით მომხდურს კი შიშველი ხელებით როგორ გავუმკლავდებოდით, იქ ჩვენს ყოფნას აზრი არ ჰქონდაო, — ამბობენ.— კარგი იქნება, თუ უფრო ორგანიზებულად იმოქმედებს ჩვენი მილიციაო. ვიღაც კაცი ცხინვალელი ფელიქს ქესანაშვილი აღმოჩნდა. ფოიეში თავშეყრილ კაცებს უკან დაბრუნებისაკენ მოუწოდებს. — ჩემი ცოლ-შვილიც აქ გამოვხიზნე — მეუბნება, — რა მექნა, გამაფრთხილეს, 24 საათში დაგვეტოვებინა იქაურობა. წინააღმდეგ შემთხვევაში დახოცვით გვემუქრებოდნენ. სახლ-კარი გადამიწვეს. ჩემი მეგობრის ქალიშვილი მსგავსი მოქმედებისაგან იმანაც ვერ იხსნა, რომ ოსი ქმარი ჰყავს.

ი. მაჩაბლის საზოგადოებაში მაშინ მივედით, ლტოლვილებს ორგანიზაციებისა და ცალკეული პირებისაგან შემოწირულ ნივთებს, საკვებსა და ფულს რომ ურიგებდნენ. დახმარებისათვის მადლობელნი არიან, მაგრამ ჯერჯერობით დანუგეშების საბაბის რა მოგახსენოთ.

**მაია თუნგია**



ოლეგ ბელოსიანის ფოტოები.

# ლტოლვილები... საქართველოდან!

## რეპლიკა

# მორიგი „კომკავშირული სიმართლე"

კიდევ ერთხელ და უკვე მერამდენედ „გაგვახარა" „კომსომოლსკაია პრავდამ".

31 იანვრის ნომერში გამოქვეყნდა ფ. სიზიის რეპორტაჟი სამხრეთ ოსეთიდან, რომელიც ჩვენთვისაა ყოფილი, თორემ მოსკოველ „გულშემატკივართათვის" მაინც უცილობელი ჭეშმარიტებაა.

ეგეთი „კომკავშირული სიმართლით" ატაროთ ღმერთმა მისი ავტორიც და რედაქციაც.

დავიწყოთ იმით, რომ ეს რეპორტაჟი (ისე, იგი სულაც არ არის რეპორტაჟი) საოცრად ტენდენციურია, ცალმხრივია, უარგუმენტოა, ღვარძლიანია, ცრუა და რაც მთავარია, ცინიკურიცაა. მოკლედ, როგორც ჭრის, ისე კერავს, რასაც უნდა იმას უმტკიცებს მრავალმილიონიან აუდიტორიას და განმკითხავის არც ეშინია, რადგან არც არავინ განიკითხავს, როცა „დიდ ცენტრს" ასე სურს, იმპერიის კანონმდებლებს ასე მიაჩნიათ საჭიროდ.

ფ. სიზიიმ ამ პუბლიკაციით დაახლოებით ისეთივე საქმე გააკეთა, როგორიც ლენინგრადელმა ტელეჟურნალისტმა ალექსანდრ ნევზოროვმა თავისი უსინდისო გადაცემით ლიტვის მოვლენებზე.

ეს პუბლიკაცია დაწვრილებით განხილვის ღირსი არც არის. იმდენად შეურაცხმყოფელია ის მთელი ქართველი ხალხისთვის, საქართველოსთვის, შეიძლება ითქვას, პროგრესულად მოაზროვნე ოსებისთვისაც. მათთვის, ვისაც კარგად აქვს გაცნობიერებული ე. წ. ყოფილი „სამხრეთ ოსეთის" შეკოწიწების ისტორია, მისი უსამართლობა, მისი სამართლიანად გაუქმების ისტორიული კანონზომიერება, მაგრამ ეს არაფრით არ უნდა გაიგოს და გაიცნობიეროს ამხ. ფ. სიზიიმ. არ უნდა, რადგან სხვანაირად როგორ გამოაცხოს მორიგი საგაზეთო „უტკა", როგორ „აუხსნას", როგორ „აჭამოს" ვთქვათ კრასნოიარსკსა და ჩიტაში, ულან-უდესა და მურმანსკში, სამარასა და სამარყანდში მცხოვრებ საქმეში ჩაუხედავ და მალემრწემ მკითხველს. თორემ ლიტვასა და ლატვიაში, ესტონეთსა და მოლდავეთში მცხოვრებმა პატრიოტებმა კი იციან საკავშირო მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა „დიდოსტატური" მანევრირება შავის თეთრად მოჩვენებისას. ჩვენ? ჩვენ ქართველებმა რა ვქნათ, ქართველებმა რით გავცეთ პასუხი? ალბათ, იმით, რომ ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რათა იმავე გაზეთის ფურცლებიდან გაეცეს პასუხი ამგვარ პასკვილს. იმედია, ამაში გარკვეულ დახმარებას „კომკავშირული სიმართლის" („კომსომოლსკაია პრავდას") საკუთარი კორესპონდენტიც გაგვიწევს.

**„ახალგაზრდა ივერიელის" რედაქცია**

# ყურადღება!

9 აპრილს მოწამლული ავადმყოფი ზოია ჭიჭიკოს ასული გრიგოლია სამკურნალოდ საჭიროებს საზღვარგარეთ გაყვანას.

დახმარების მსურველ ორგანიზაციებს შეუძლიათ თანხა გადარიცხონ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ბანკის ფონდ „ბანკირის" საერთო ანგარიშზე ავადმყოფის სახელისა და გვარის მითითებით.

**ანგარიშსწორების № 609000356.**
**ხავალუტო № 670802600.**
**კოდი — 805227.**

ვისწავლოთ ჩვენი ისტორია

## წერილი მეშვიდე



# შიდა ქართლი

## სამაჩაბლო

სამაჩაბლო — ფეოდალური საქართველოს ერთ-ერთი ადმინისტრაციული ერთეული — სათავადო, წარმოიშვა მდ. ლიახვის შუა და ზემო წელზე, ისტორიული აჩაბეთის ხევში, რომელსაც იცნობს VII ს. სომხური გეოგრაფია.

აჩაბეთის ხევში ადამიანის მოსახლეობის კვალი დადასტურებულია ძველი ქვის ხანიდან. ხევის ცენტრი იყო აჩაბეთი. აჩაბეთის ხევი შესდგებოდა მაღრან დვალეთისა (ცენტრით ედისში) და ჯავის ხევისაგან (ცენტრით ჯავა).

სამაჩაბლო, როგორც სათავადო, ყალიბდება XV ს. დასაწყისში. სახელწოდება მომდინარეობს თავად მაჩაბელთა გვარიდან. მაჩაბელთა რეზიდენცია იყო აჩაბეთი, ხოლო საგვარეულო საძვლე-სამარხი თირის მონასტერსა და საბაწმინდაში. ეკლესიურად სამაჩაბლო ექვემდებარებოდა ნიქოზის საეპისკოპოსოს.

სამაჩაბლოს უძველესი მოსახლეობა იყო ქართული. XIV საუკუნეში ლიახვის სათავეებში ჩანან დვალები, ხოლო XVII ს. დასაწყისიდან იწყება ოსთა ჩამოსახლება.

სამაჩაბლოს სამხრეთი ნაწილის ეკონომიკა ეყრდნობა სარწყავ მიწათმოქმედებას. აქ განვითარებული იყო მებაღეობა-მევენახეობა. ხეობის ზემო წელზე მისდევდნენ მემინდვრეობას (ითესებოდა ქერი), განვითარებული იყო მსხვილფეხა და წვრილფეხა მესაქონლეობა.

აჩაბეთის შესახებ, რომელიც ლიახვის ხეობის პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენდა, ვახუშტი ბაგრატიონი წერს: „თამარაშენს ზეით ერთვის თირის მონასტრის — ხევი. ამ ხევზედ, გორის ძირს, არს აჩაბეთი, სასახლე და ციხე მეფეთა“.

დღეს ს. ზემო აჩაბეთის ცენტრში ციხის ნანგრევებია შემორჩენილი. ციხე გალავნით ყოფილა შემოზღუდული, რომლისგანაც დარჩენილია სამხრეთი და ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი. გალავანში დგას წმ. ესტატეს სახელობის ეკლესია.

აჩაბეთის ციხე საისტორიო წყაროებში პირველად იხსენიება XVI საუკუნეში, ქართლის მეფის ლუარსაბ I ირანელებთან ბრძოლისას, როდესაც იგი ციხეში იყო გამაგრებული (ქცა, II, 281).

გივი ამილახვართან ბრძოლის დროს ერეკლე II ორჯერ მოუხდა აჩაბეთისათვის ბრძოლა. მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, ერეკლემ აჩაბეთი აიღო. აჩაბეთის ციხესთან არაერთხელ მომხდარა ლეკის ჯარებთან შეტაკება.

აჩაბეთიდან მომდინარეობს ლიახვის ხეობის ფეოდალთა გვარი მაჩაბელი. ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს: „მაჩაბელი იტყვის ანჩიფისძეობას, აფხაზეთიდან მოსვლას, განა ახალი არს“.

ს. ჯანაშია ანჩაბაძე-მაჩაბლების შესახებ შენიშნავდა: „...ამავე ხანებში (X ს. I ნახევარი — ჯ.გ.), თუმცა ამის თქმა ძნელია წყაროების უქონლობის გამო, იმერეთ-ამერეთის ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე გზაზე სხდებიან ანჩაბაძენი, რომელთა გვარის სახელიც, თავისი წარმომავლობითა და მერმინდელი ისტორიით (-ბა-ძე), „ქაჩიბაძის“ სრულ ანალოგონს წარმოადგენს. „აჩაბაძის“ მიხედვით იქმნება ფეოდალური რეზიდენციის სახელწოდება „აჩაბეთი“, ხოლო ამ უკანასკნელიდან — ახალ სამფლობელო სახელი მაჩაბელი“.

მოსაზრება გვარ ანჩაბაძედან ტიპონიმ აჩაბეთის წარმოშობის შესახებ არ უნდა იყოს მართებული. თავი რომ დავანებოთ ენობრივ დაბრკოლებას, ამას ხელს უშლის ის გარემოება, რომ ანჩაბაძეთა სავარაუდო გადმოსახლებაზე (X ს.) გაცილებით ადრე, კერძოდ, VII საუკუნისათვის (სომხური გეოგრაფია) სახეზეა აჩაბეთის ხევი, რომელიც ადრეფეოდალური ხანისათვის აღნიშნავდა დიდი ლიახვის შუა და ზემო წელს.

უფრო სარწმუნოდ მეჩვენება ნ. ანდღულაძის მოსაზრება, დამყარებული თირის მონასტრის წარწერებისა და თავხელიძე-მაჩაბლების სიგელ-გუჯრების ანალიზზე, თავხელიძეთაგან მაჩაბლების წარმოშობის შესახებ.

მაჩაბლის გვარი პირველად გვხვდება XIV საუკუნის ბოლოს თემურ-ლენგთან ბრძოლებში. „ახალი ქართლის ცხოვრების“ მაჩაბლისეულ ნუსხაში ვკითხულობთ: „წარვიდა ლანგ-თემურ და ჩადგა შიგა ქართლსა და იდგა ხანსა რაოდენსამე, და ველარა მოახელეს რა, მისჭირდა და წამოვიდა. მაშინ იყო მაჩაბელი, რომელსა ერქუა ხალელამპრეს, მოიმხრო ოსეთი. რომელი ჰყვა ასული ერთი, უწინვე ბევრჯერ სთხოვა მთავარმან ოსეთისამან, და არა ინება მიცემა. მაშინ აღუთქვა ასული თვისი, რათა შეეწიოს თათართა ზედა. შეიკრიბეს ჯარი ვითარ ორი ათასი კაცი. და თვით მას ჟამსა იყო სამოცდახუთისა ხალელამპრეზ. ჰყუა ძე ერთი, რომელსა ერქუა არქაპოსი, ესე არქაპოს უთავს ჯარსა. და დაესხნეს თავს ლანგ-თემურის ჯარსა და დიდი ზიანი უყვეს. არქაპოს მაჩაბელი მხნედ იბრძოდა და ვერავინ დაუდგებოდა წინა: საითაც პირი ქნის, განაბნივნის ვითარცა ქორმან იხვის ჯოგი ყოველთა“ (ქცა, II, 337).

აღწერილი ეპიზოდი მხოლოდ ქართლის ცხოვრების მაჩაბლისეულ ნუსხაშია დაცული და შეიძლება ეჭვი გაჩნდეს, რომ იგი მატიანეში ამ ნუსხის გადაწერის დროს (1736 წ.) შეიტანეს; თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ მაჩაბელთა გვარში არსებობდა წერილობითი ან ზეპირი ცნობა თემურ-ლენგის წინააღმდეგ მაჩაბლების ბრძოლის შესახებ, რომელიც შემდეგ შეიტანეს ქართლის ცხოვრებაში.

თუ ზემოთ მოტანილი ჩანართი ქართლის ცხოვრებისა გარკვეულ ეჭვს ბადებს, უკვე ყოველგვარი ეჭვის გარეშე მონაწილეობს მაჩაბელი 1484 წლის არადეთის ბრძოლაში, ცნობა მაჩაბლის ბრძოლაზე შალიკაშვილის წინააღმდეგ დაცულია „ახალი ქართლის ცხოვრების“ ყველა ნუსხაში (ქცა, II, 347).

1514 წლის ქვეშ მაჩაბლისეული ნუსხა მოგვითხრობს ბარამ მაჩაბლისა და მისი ძის ქაიხოსროს დახმარებაზე ქართლის მეფის დავითისადმი ზემო ქართლში ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში და დასძენს: „ხოლო მეფემან დიდი წყალობა უყო ბარამსა მაჩაბელსა და შვილსა მისსა ქაიხოსროს. მრავალი სოფლები უბოძა დიდ ლიახვზედა“ (ქცა, II, 352.)

1537-38 წწ. ერთი დოკუმენტი დარბაისელ და თავჩინებულ თავადთა —ერისთავის, ციციშვილის, ამირაჯიბის და გაბაშვილის გვერდით ახსენებს ქაბულ მაჩაბელს (ქსძ, IV, 15).

თავხელიძე-მაჩაბლების 1432 წლის სიგელში დაცულია ცნობები იმ ყმა-მამულის ნაწილის შესახებ, რომლის მფლობელებიც იყვნენ მაჩაბლები XV საუკუნეში. ეს სოფლებია: მუგუდი, ქემერტი, კოშკა, მელვრეკისი, ფხვენისი, საბაწმინდა, ერედა, თამარაშენი, ცხინვალი, ღვერთეთი, სალთვისი (სცსა, ფ. 1451, რვ.1, აღწერა 21. საბ.39).

ამ საბუთში დიდ ინტერესს იწვევს გამოთქმა: „რაც დვალეთს ბეგარა სდებია ქელელეცა იმავე წესითა“, საიდანაც ჩანს, რომ მაჩაბელთა მებეგრენი იყვნენ არა მარტო ლიახვის ხეობის სოფლები, არამედ დვალეთისა, კერძოდ ქელელეს ხეობა.

ი. გიულდენშტედტი მაჩაბლების მფლობელობის შესახებ 1772 წელს სწერდა, „სხლებში ჯერ კიდევ არის პატარა ძველი ქვიტკირის ეკლესია, რომელშიც ჯერაც დგას ვერცხლით მოჭედილი ჯვარი. ის არის 2 ფუტი სიმაღლისა და 40 წლის წინათ თავადმა მაჩაბელმა და მისმა მეუღლემ შემოსწირეს. თავადს აქ ჰქონდა საზაფხულო სახლი. ეს ეკლესია ახლა მხოლოდ დამნაშავე ოსებს ემსახურება თავშესაფრად.

ტამუტა ჩემთვის იყო უკანასკნელი, ანუ განაპირა სოფელი ჯაუკომის რაიონისა, ანდა ქართულად ჯავის ხეობისა, აქ ითვლიან 1000 ოჯახს. ეს მხარე ძველთაგან ექვემდებარებოდა თავად მაჩაბელს“.

XVIII ს. მიწურულისა და XIX ს. დასაწყისის აღწერების მიხედვით სამაჩაბლო ქვეყანა საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე იხაზება. მასში შედის ლიახვის ხეობა ცხინვალდგვრისის ხეობიდან როკამდე, დვალეთში — ქელესა და ზროგის ხეობები, მდ. ყვირილას და ღვანის წყლის სათავეები. აღნიშნულ მხარეთა მოსახლეობა მთლიანად მაჩაბლებს ეკუთვნოდა. მათვე ჰყავდათ ცალკეული ყმა-გლეხები ქართლის ბარის სხვა სოფლებში.




დვალეთი მდებარეობდა კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით. შუასაუკუნეებისათვის ვახუშტი ბაგრატიონი ანსხვავებს „საკუთრივ დვალეთს“ ფართო აზრით გაგებულ დვალეთისაგან, საკუთრივ დვალეთი ესაა ნარის ქვაბული (ზრამაგას, ქელელეს, ნარის, ზროგის, ზახას ხეობები) კასრის ხეობასთან ერთად. ფართო აზრით გაგებული დვალეთი კი, საკუთრივ დვალეთის გარდა, მოიცავდა აგრეთვე მაღრან დვალეთს და თრუსოს (ვახუშტი).

ჩვენ ერთგან აღვნიშნეთ, რომ ქართლის სამეფოს მესვეურები საფორტიფიკაციო სისტემებს ქმნიდნენ კავკასიონის ქედის ჩრდილოეთიდან დარიალის ვიწროებსა და დვალეთში. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა „მოქცევა ქართლისას“ ცნობა იმის შესახებ რომ, როდესაც VI საუკუნეში სასანურმა სპარსეთმა ქართლში მტკიცედ მოიკიდა ფეხი, მათ დაიპყრეს „ოსთა დიდი კარჲ“ (იგივე დარიალი) და დვალეთის ორი კარი.

დვალეთზე ჩრდილოეთიდან მომდგომი ადგილების ტოპოგრაფიის გაცნობა სრულიად ნათელს ხდის, რომ ჩრდილოეთი ხეობები დვალეთს მხოლოდ ორი გზით, ორი ხეობით უერთდება: არდონის და ფიაგდონის ხეობებით. მდინარე არდონს კეტავდა ვახუშტისთან მოხსენებული კასრის კარი, ხოლო ფიაგდონს ხილაკის კარი. ვ. გამრეკელმა ამ ადგილებში თავდაცვითი კედლებისა და კოშკების მთელი სისტემა აღმოაჩინა, რომელიც გაიაზრა დარიალის ჩამკეტ ნაგებობებთან კავშირში.

„ახალი ქართლის ცხოვრების“ ავტორი ბერი ეგნატაშვილი აღნიშნავს, რომ XVI ს. პირველ მეოთხედში ქართლის სამეფოს უკიდურესი ჩრდილო პუნქტები იყო „ხევხილაკა და კასრის-ხევი“ (ქცა, II, 349).

დვალეთში, ზროგის ხეობაში არის XI ს. ქართული კულტურის ძეგლი — „ზროგის ღვთისმშობლის ეკლესია“ (დღეს ხოზიტა მაირამს უწოდებენ). ვახუშტი ბაგრატიონი ზრამაგასა და ზაყაში აღნიშნავს ორ მცირე ეკლესიას (დღეს დანგრეულია). ეს ყველაფერი ადასტურებს ისტორიული წყაროების ცნობას, რომ დვალეთი ეკლესიური ორგანიზაციის მხრივ ნიქოზის საეპისკოპოსოში შედიოდა.

ზრამაგის ციხის მშენებლობას ვახუშტი თამარ მეფეს მიაწერს. ზრამაგაში დაცულია XIII-XIV სს. ქართული „დავითნი“, იქ მოხვედრილი XVII ს-ში.

ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება სამი ზარი, XVII ს. ქართული წარწერებით. ამათგან ორი ქართლის მეფე გიორგი XI მიერაა შეწირული — ერთი სოფ. წესთან არსებულ სალოცავ რექომისადმი, ხოლო მეორე სოფ. ჯიბილისში წმ. გიორგის ეკლესიისადმი. მესამე ზარი არჩილ მეფის მიერაა შეწირული.

საინტერესოა, რომ 1608 წლიდან გიორგი სააკაძე თბილისის, ცხინვალისა და დვალეთის მოურავი იყო.

დვალეთზე ამ პატარა ექსკურსიის შემდეგ კვლავ სამაჩაბლოს დავუბრუნდეთ.

ნარატიულ საისტორიო წყაროებში ტერმინი „სამაჩაბლო“ იშვიათად იხმარება. მას არ ხმარობს ვახუშტი ბაგრატიონი. ომან ხერხეულიძე 1759 წლის ამბების თხრობასთან დაკავშირებით ახსენებს სამაჩაბლოს. სამაჩაბლო ფიგურირებს აგრეთვე ზოგიერთ ისტორიულ დოკუმენტში.

პაპუნა ორბელიანი 1747 წლის ისტორიული მოვლენების გადმოცემისას ახსენებს „მაჩაბლის ქვეყანას“: „რაც ამილახვართან ლეკნი იყვნეს მოუხდეს მაჩაბელს, აუოხრეს ქვეყანა, მაჩაბელი კახ-ბატონს ახლდა, იმისის ჯარით, ჩამოუყვანა ამილახორმა ჯარი ლეკისა და მუდამ აოხრებდნენ მაჩაბლის ქვეყანას“.

სამაჩაბლოს ჩამოყალიბება — ტერიტორიის გაფართოება დაკავშირებულია მეფის ხელისუფლების წინააღმდეგობის დაძლევასთან.

XVII ს. მეორე ნახევარში ბაადურ მაჩაბელმა ოსებით დაასახლა ლიახვის მთიან ნაწილში მეფის ხელისუფლების კუთვნილი ამოწყვეტილი სოფლები, მეფე შაჰყული-ხანი 1704 წლის სიგელით იძულებულია ფირან და ბორტი მაჩაბლისად სცნოს მათი მამის მიერ მითვისებული მიწები (სცსა, ფ. 1450, რვ. 28, დოკ. 158).

სამაჩაბლო, როგორც სათავადო, გაუქმდა 1850 წელს, როდესაც მაჩაბლებსა და ყმა ოსებს შორის გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის გამო სენატის დადგენილებით მაჩაბელთა 2000 კომლი ყმა სახაზინო უწყებას გადაეცა.

**ჯონდო გვასალია**

ვისწავლოთ ჩვენი ისტორია

# მთავარი კრიტერიუმი — პროფესიონალიზმი და ეროვნული დამოკიდებულება

**29 იანვარს** საქართველოს არბიტრაჟში ჩატარდა პირველი კოლეგია. ეს ფაქტი აღსანიშნავი და, თამამად შეიძლება ითქვას, ისტორიული მნიშვნელობისაც კია, რადგან რესპუბლიკის არბიტრაჟის არსებობის პერიოდში პირველად ჩატარდა იგი ქართულ ენაზე!

კოლეგიის დაწყებამდე წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს სამაჩაბლოში და ბალტიის ქვეყნებში გარდაცვლილთა ხსოვნას.

პირველი საკითხის — 1990 წელს სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ გაწეული მუშაობის შედეგები და მიმდინარე წლის ამოცანების შესახებ — მოხსენება გააკეთა საქართველოს რესპუბლიკის მთავარი არბიტრის პირველმა მოადგილემ ჯონი ჯალაღონიამ. მან აღნიშნა, რომ 1990 წლის სანგარიშო პერიოდი პოლიტიკურად დაძაბული პერიოდი იყო. ამ წელს პირველად საქართველოს ისტორიაში ჩატარდა დემოკრატიული არჩევნები; ამავე წელს, არბიტრაჟის პარტორგანიზაციის ინიციატივით მოხდა დეპოლიტიზაცია. აღსანიშნავია, ისიც, რომ ამავე პერიოდში რესპუბლიკის არბიტრაჟი თითქმის მთლიანად განთავისუფლდა ცენტრის დიქტატისაგან, შეწყდა ცენტრიდან ჩარევები. არადა აქამდე მოსკოვი როგორც თვითონ უნდოდა, ისე წყვეტდა საქმეს. ყოფილა შემთხვევები, როცა ცენტრს მიუღია ურთიერთსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებები. საკავშირო მინისტროთა საბჭოც თვეში ხან ურთიერთგამომრიცხავ ხუთ კანონს იღებს, რომლებიც ,ფაქტობრივად, დაბადებისთანავე მკვდარია. აქედან გამომდინარე, არბიტრმა აღარ იცის, რომელი კანონი გამოიყენოს.

ასეთი რთული სიტუაციიდან გამოსავალი არის. ესაა საქართველოს რესპუბლიკის კანონებიდან გამომდინარე, ვთქვათ, საქართველოს სამეურნეო კოდექსის შექმნა, თორემ არბიტრაჟში ყველაფერი უფრო რთულადაა საქმე, ვიდრე ვთქვათ სისხლის სამართლის საქმეში.

კოლეგიაზე ცხარე სჯა-ბაასი გაიმართა საკავშირო ბიუჯეტში ჩვენი რესპუბლიკის წარმოება-დაწესებულებიდან ჯარიმების გადარიცხვის საკითხზე. ერთსულოვნად გადაწყდა, ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა არცერთ ასეთ შემთხვევას ადგილი აღარ ჰქონდეს.

რესპუბლიკის არბიტრაჟი ვერ იქნება ძლიერი, თუ თვით ორგანიზაციაში არ დამყარდა სრული წესრიგი, დისციპლინა. არის შემთხვევები, როდესაც იკარგება საქმეები, გვიანდება საქმის განხილვები. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, უარყოფითად მოქმედებს საბოლოო შედეგებზე.

მეორე საკითხად განიხილეს რესპუბლიკის სახელმწიფო არბიტრის ჰაჯიმურატ ვალიევის პერსონალური პასუხისმგებლობა. 4 იანვრიდან 29 იანვრამდე ჰაჯიმურატ ვალიევი სამსახურში არ გამოცხადებულა, 20 დღის განმავლობაში მისი ასავალ-დასავალი არავინ იცოდა, მიუხედავად იმისა, რომ მას ოჯახში არაერთხელ მიაკითხეს. მხოლოდ 25 იანვარს გახდა ცნობილი, რომ იგი ცხინვალში იმყოფებოდა. და ეს იმ დროს, როცა არბიტრაჟის ყველა თანამშრომელი წინასწარ გაფრთხილებული იყო, ქალაქიდან გასვლის შემთხვევები ეცნობებინათ ხელმძღვანელობისათვის თუ არა, უკიდურეს შემთხვევაში მორიგისათვის მაინც, მაგრამ ჰაჯიმურატ ვალიევმა ეს არ გააკეთა. სწორედ ამიტომ კოლეგიის წინაშე დადგა საკითხი მისი სამუშაოდან დათხოვნის შესახებ.

რას იტყვის ჰაჯიმურატ ვალიევი?

—თუ ასეთი აზრია...— თქვა მან. — ყველამ იცით, როგორი მდგომარეობაა იქ. ვერანაირად მოვახერხე შეტყობინება, ჩამოსვლაზე ხომ ლაპარაკიც არ შეიძლება. ვიყავი ცხინვალში, ოსურ სექტორში. კომენდატსაც შევხვდი, ქვანტალიანს, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს — გვენცაძესაც, მაგრამ გამოსვლაში ვერ დამეხმარნენ...

არბიტრაჟის თანამშრომლებმა დადებითად დაახასიათეს ჰაჯიმურატ ვალიევი, მაგრამ 24 დღის უმიზეზოდ გაცდენისათვის არავინ დაინდო. გამოითქვა ეჭვებიც, რომ იგი შესაძლებელია იქ საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგოდ იქცეოდა... იგი დაითხოვეს სამსახურიდან, თუმცა თუ შესაბამისი ორგანოები დაადასტურებენ, რომ მას ქართველი ერის საწინააღმდეგო ქმედებები არ ჩაუდენია, დააბრუნებენ სამსახურში.

ასეთი იყო კოლეგიის გადაწყვეტილება, ასეთია ახლადდანიშნული მთავარი არბიტრის ევტიხი ბენდელიანის მოსაზრებაც. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რამდენიმე ხნის წინ ახლანდელი მთავარი არბიტრი უმუშევარი იყო, ისიც კოლეგიამ, ოღონდ რესპუბლიკის პროკურატურის კოლეგიამ, გაათავისუფლა ლენტეხის რაიონის პროკურორობიდან, გარკვეული ხნის მანძილზე იყო უმუშევარი... სწორედ ამის შესახებ დაიწყო ჩვენი საუბარი:

**— ბატონო ევტიხ, თქვენ ახლა, სულ რამდენიმე წუთის წინ გაათავისუფლეთ ერთ-ერთი გამოცდილი თანამშრომელი. როგორც ჩვენთვის ცნობილია, სულ რამდენიმე წლის წინ თქვენ თვითონ ბრძანდებოდით ანალოგიურ მდგომარეობაში! -**

— ანალოგიურ მდგომარეობაში მე არ ვყოფილვარ. ანალოგიაში ალბათ უნდა ვიგულისხმოთ ის, რომ ჩემი საკითხიც კოლეგიაზე გადაწყდა, მაგრამ იმ განსხვავებით, არავის უკითხავს რა მოხდა, საერთოდ რაში იყო საქმე, ყველაფერი ჩემს გარეშე ითქვა და გადაწყდა კიდეც, თანაც ის, რაც, ფაქტობრივად არც იყო. სწორედ ამის გამო დავკარგე ყველაფერი — სამუშაო, დამსახურება; ყველაზე გულდასაწყვეტი მაინც ის იყო, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელდა ინფორმაცია ჩემი არარსებული ბრალეულობის შესახებ, თითქოს ლენტეხის რაიონში (და არა მარტო ლენტეხის რაიონში) გახმაურებული მკვლელობა ჩემი მიზეზით იყო გამოწვეული. ეს იყო „იმ ეპოქაში“, როცა პარტიის ზოგიერთი ლიდერის ყოვლისშემძლეობა „დუღდა“.

რაც შეეხება ვალიევის საკითხს იგი მუშაობდა არბიტრაჟში სახელმწიფო არბიტრად, არის გამოცდილი იურისტი, იცოდა და გაფრთხილებულიც იყო, არ მიეტოვებინა სამსახური, და თუნდაც სამაჩაბლოში შექმნილ რთული ვითარების გამო არ გასულიყო ქალაქიდან ხელმძღვანელობის ნებართვის გარეშე. გასვლის აუცილებლობის შემთხვევაში ჩავეყენებინეთ საქმის კურსში და თუ ამას ვერ შეძლებდა, მაშინ—არბიტრაჟის პასუხისმგებელი მორიგე, რომელიც ყოველდღიურად იმყოფება მისალებში. ვალიევი წავიდა 4 იანვრიდან და 30 იანვრამდე, ესე იგი კოლეგიამდე, არ გამოჩენილა. უფრო მეტიც, მისი ადგილსამყოფელის შესახებ ვერ მივიღეთ ვერავითარი ინფორმაცია ვერც მისი ოჯახიდან და ვერც პირადად მისგან, ახლა როგორც გაირკვა, მიუხედავად გაფრთხილებისა, იგი თავის სრულწლოვან ვაჟთან ერთად, რომელსაც დამთავრებული აქვს ცხინვალის პედინსტიტუტი, თავიანთი საკუთარი მანქანით წავიდნენ ცხინვალში და დღემდე ეწეოდნენ ჩვენთვის გაურკვეველ საქმიანობას. ყოველივე ამან სახელმწიფო არბიტრაჟის თანამშრომლებში გამოიწვია ერთგვარი ეჭვი. როგორც ცნობილია, სახელმწიფო არბიტრაჟი მრავალეროვანი თანამშრომლებისაგან შედგება, რომლებმაც სოლიდარობა გამოუცხადეს სამაჩაბლოში მცხოვრებ ქართველ მოსახლეობას. თუ დადგინდება, რომ ვალიევს და მის შვილს ამ ხნის განმავლობაში არ ჩაუდენიათ ანტიეროვნული საქმე და მართლაც ყველა ღონე იხმარა და ვერ შესძლო სამაჩაბლოდან გამოსვლა, იმ შემთხვევაში ჩვენ აუცილებლად გამოვუნახავთ შესაფერის სამუშაოს. ასე რომ, თქვენი კითხვის პასუხიც ნათელია: მას არ ემუქრება ისეთი მდგომარეობა, რაც პირადად მე და ჩემმა ოჯახმა განვიცადეთ. საერთოდ, ყველამ იცოდეს, ვისაც სახელმწიფო არბიტრაჟში მუშაობა უნდა, რა ეროვნებისაც უნდა იყოს იგი, პირველ რიგში ჩვენს გვერდით უნდა იმყოფებოდეს იმ განწყობილებით სულდგმულობდეს, რომელიც ქართველ ერს სჭირდება. ამის გარეშე არავითარი შეღავათი არ გაეწევა არავის, არც ერთი ერის წარმომადგენელს.

**— რა ურთიერთობები ჰქონდა რესპუბლიკის არბიტრაჟს ცენტრთან და როგორია პერსპექტივა?**

— საქმე იმაშია, რომ რესპუბლიკის არბიტრაჟი დღემდე უშუალო დაქვემდებარებაშია ცენტრთან, თუმცა იგი ამავე დროს ანგარიშვალდებულია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წინაშე. დღემდე ჩვენი დაქვემდებარება საკავშირო არბიტრაჟის წინაშე რეალური იყო. ამჟამად გვსურს მხოლოდამხოლოდ დავექვემდებაროთ რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს. საქართველოს არბიტრაჟს თავისი არსებობის მანძილზე არ ჰქონია კანონი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო არბიტრაჟის შესახებ. ქართულ ენაზე საერთოდ არ არსებობს რაიმე სამართლებრივი ნორმატული აქტი, რომელიც დაარეგულირებს არბიტრაჟის საქმიანობას. ამიტომაც სახელმწიფო არბიტრაჟი მხოლოდ ცენტრიდან მიღებული კანონებით და კანონქვემდებარე აქტებით ხელმძღვანელობს. ამან გამოიწვია ისიც, რომ საქართველოს სახელმწიფო არბიტრაჟში საქმის წარმოება დღემდე მიმდინარეობს მხოლოდ რუსულ ენაზე.

ამჟამად უკვე დაწყებული გვაქვს მუშაობა და ვწერთ კანონს ჩვენი არბიტრაჟის შესახებ, რომელსაც უახლოეს პერიოდში წარვადგენთ უზენაეს საბჭოში.

**— ბატონო ევტიხ, რა კონკრეტული შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამგვარ, თუ შეიძლება ითქვას, რეფორმებს?**

— პირველ რიგში ის, რომ გვექნება საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებელი სახელმწიფო არბიტრაჟი, რომელიც ვიმეორებ, მხოლოდამხოლოდ დაექვემდებარება რესპუბლიკის კანონიერ უზენაეს საბჭოს. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ცენტრი ველარ მოახერხებს ჩვენთან, რესპუბლიკაში განხილულ ვერც ერთი სადაო საქმის გათხოვას, გადასინჯვას და მისი სურვილისამებრ ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებას. ყველა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილებას მივიღებთ ადგილზე. ეს იმასაც ნიშნავს, რომ თანხები, რომლებიც დღემდე ჯარიმის სახით საკავშირო ბიუჯეტში ირიცხებოდა, ჩაირიცხება რესპუბლიკის ბიუჯეტში. თანხები კი საკმაოდ სოლიდურია, — ანგარიშში მილიონებშია.

**— როგორც ზემოთ აღნიშნეთ, არბიტრაჟის თანამშრომელთა თითქმის 70 პროცენტი არაქართველია, საქმის წარმოებაც ძირითადად რუსულ ენაზე მიმდინარეობს. თქვენი საუბრიდან გამომდინარე, ეს მდგომარეობა რადიკალურად უნდა შეიცვალოს?**

— თავისთავად ზემოთ დასახელებული და სხვა მთელი რიგი ორგანიზაციული საკითხები მიგვიყვანს იქამდე, რომ საქმის წარმოება ქართულ ენაზე წარიმართება. ახალ (ჯერმიუღებელ) კანონში გათვალისწინებულია, სასამართლოს მსგავსად, თარჯიმანთა ინსტიტუტის შემოღება, რაც უზრუნველყოფს არაქართულ ენაზე საქმის წარმოებას, ელემენტარული რამაა, მაგრამ დღემდე მხოლოდ ერთი ქართულენოვანი საბეჭდი მანქანა გვაქვს, ექვსი უკვე გავაგზავნეთ გადასაკეთებლად...

რაც შეეხება კადრებს, ჩვენდა სასიხარულოდ ყველა მუშაობს თავისთავზე და აქვთ კიდეც გარკვეული შედეგები ქართული ენის შესწავლაში, რაშიაც, ალბათ, თქვენც დარწმუნდით კოლეგიის მიმდინარეობის დროს. ყველა გამომსვლელმა ქართულად გამოთქვა თავისი მოსაზრებები, თუმცა ასეთი რამ აქამდე თითქმის არცერთ კოლეგიაზე არ იყო. თუნდაც აქედან გამომდინარე, იმის გამო, რომ, დავუშვათ, ერთი ეროვნებით რუსია, მეორე — ოსი, მესამე — სომეხი, მეოთხე — აზერბაიჯანელი და ასე შემდეგ, არავითარ საკადრო ცვლილებებს არ ვაპირებთ. მე კარგად ვიცნობ მათ, და თუნდაც იმიტომ არ ვაპირებ საკადრო ცვლილებებს, რომ მათი უმეტესობა თავიანთი საქმის პროფესიონალები არიან.

ესაუბრა
**ბესო ივერიელი**




## „ვესტნიკ გრუზიი“

გუშინ, 1 თებერვალს ახალი სახელწოდებით გამოვიდა საქართველოს უზენაესი საბჭოს ორგანო „ზარია ვოსტოკა“. ამიერიდან მას ეწოდება „ვესტნიკ გრუზიი“.

„ზარია ვოსტოკა“ წლების განმავლობაში იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო და ჩვენ შეჩვეული ვიყავით იმ აზრს, რომ მას სკკპ ინტერესები უნდა დაეცვა და ოფიციალური ინფორმაციაც ისე უნდა მიეწოდებინა მკითხველისათვის, როგორც კომპარტია მოითხოვდა. ამიტომაც „აღმოსავლეთის განთიადის“ (როგორი „განთიადი“ იყო, თავად განსაჯეთ!..) შინაარსი, მიუხედავად ბევრი ჟურნალისტის კეთილსინდისიერებისა, ხშირად სცილდებოდა რესპუბლიკის ნამდვილ ცხოვრებას.

ბოლო ხანს „ზარია ვოსტოკა“ ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების — რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო გახდა და აქედან გამომდინარე, მის შინაარსაც სულ სხვა განთიადი განსაზღვრავს. უფრო მორიდებული სათაურით გამომავალმა გაზეთმა უდიდესი მოვალეობა უნდა იტვირთოს და რესპუბლიკაში და მის გარეთ მცხოვრებ არაქართველ მოსახლეობას საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე მართალი, ობიექტური ინფორმაცია მიაწოდოს, ხელი შეუწყოს ერონებათშორისი კონფლიქტების აღმოფხვრასა და მეგობრობის განმტკიცებას. ამ საქმეში წარმატებებს ვუსურვებთ ჩვენს კოლეგებს.

# წერილები „ახალგაზრდა ივერიელს“

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატებს

საქართველოს ბედი თქვენს ხელშია! მთელი ერი თქვენ შემოგყურებთ. შემოგყურებთ, რათა ქვეყნიერება დაარწმუნოს მრავალპარტიულ არჩევნებში თავიანთი გადაწყვეტილების სისწორეში და იმ შინაურ და გარეულ მტრებს, რომელთაც სახეზე ღლესაც ირონიული ღიმილი დასთამაშებს, გამარჯვებულის თვალი გაუსწოროს. ეს უნდა ასრულდეს. იგი მხოლოდ და მხოლოდ თქვენი თავდაუზოგავი გონებრივი და ფიზიკური შრომის წილხვედრი უნდა გახდეს. არავინ ელის, რომ თქვენ უმოკლეს დროში შეუძლებელს შეძლებთ, მაგრამ საქმეს არც ისეთი უმოქმედობა ეგების, როგორსაც უზენაესი საბჭოს უმრავლესობა იჩენს. ვინაიდან მე კონკრეტულად არავის მივმართავ, თითოეული თქვენგანი ნუ იფიქრებს, ამ უმოქმედოთა უმრავლესობაში მე არ შევდივარო და ამგვარად ყველანი ნუ მოიხსნით ამ ჩემს, ჯერხანად უწყინარ და გამაფრთხილებელ ბრალდებას. დაფიქრდი და შენს გულში ღრმად ჩაიხედე, რა გააკეთე პირადად შენ, დღევანდელი რთული პერიოდისათვის საუკუნის ტოლფიდ სამი თვის განმავლობაში, როგორც დეპუტატმა? მერე რა, რომ უარი თქვით ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე, გააუქმეთ კომუნისტური ღლესასწაულები, გამოაცხადეთ ამნისტია, გააუქმეთ არაკანონიერი სამხრეთ ოსეთის ავტონომია, შეაჩერეთ საქართველოში საბჭოთა კონსტიტუცია, და კიდევ უამრავი სასიკეთო ნაბიჯი გადადგით? ეს უდიდესი ისტორიული აქციები ხომ იმ ძირითადი ბირთვისა და მის ახლო ორბიტაზე მბრუნავი წევრების საქმიანობის შედეგია, რომლის ცენტრშიც უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე დგას. თქვენ მათი გადაწყვეტილება მხოლოდ ხელის აწევით დაადასტურეთ.

გარდა ასეთი გლობალური მასშტაბის სახელმწიფო მნიშვნელობის საქმიანობისა, უამრავი, არანაკლებ მნიშვნელოვანი სამეურნეო პრობლემებია მოსაგვარებელი, რომელიც სწორედ უზენაესი საბჭოს რიგითი წევრის თვალთახედვის არეში უნდა მოექცეს. ამისათვის ხომ მრავალი უძილო ღამის გახარჯვა და ხელებდაკაპიწებული შრომაა საჭირო! ნუ დაგავიწყდებათ, რომ თქვენ ამ გარდამავალ პერიოდში მრავალი შავი სამუშაოს შესრულება დაგეკისრათ, რომელიც დღევანდელ დუხჭირ დღეში ჩავარდნილი ქართველი კაცისათვის სათაკილო არ უნდა იყოს. შავ სამუშაოს კი, მოგეხსენებათ, ბევრი ოფლის ღვრა სჭირდება, რომელიც, სიმართლე ვთქვათ და ჯერ ბევრი თქვენგანის შუბლიდან არ ჩამოღვრილა. აბა როგორ ავხსნათ ის, რომ ძველებური განუკითხაობაა სავაჭრო ქსელებსა თუ ბენზინის გასამართ სადგურებში, ტრანსპორტზე, საზკვების ობიექტებზე, სხვადასხვა სამომსახურებო სფეროში და თითქმის ყველგან. არავინ ეგება მომხმარებელს ღიმილით. იმატა დაძაბულობამ, ნერვიულობამ, მომხმარებლისადმი დამცირებამ და გამოძალვამ. საჭიროა სასწრაფო პრაქტიკული მოქმედება. ხალხი მზადაა გაგიწიოთ დახმარება. საჭიროა მიმართოდ მათ. იცოდეთ, რომ პარლამენტის გარეთ დარჩენილია უდიდესი მასა იმ პირებისა, რომლებსაც აქვთ როგორც დიდი პრაქტიკული გამოცდილება, ასევე შესანიშნავი გონებრივი პოტენციალი. ისინი მრავლად არიან სასწავლო თუ კვლევით ინსტიტუტებში, ქარხნებსა და სხვადასხვა სამრეწველო-სამეურნეო ობიექტებზე. თქვენი ვალია მოძებნოთ და გვერდში ამოიყენოთ ეს უდიდესი ძალა. ნუ დაელოდებით მათგან ინიციატივას.

მიიღეთ ჩემი გულწრფელი სურვილები. ღმერთი იყოს თქვენი შემწე!

**ზურაბ ჩანაძე.**
**ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტი**

## გავდივარ ეროვნული კონგრესიდან

საქართველოში ეროვნული მოძრაობის პირველი მიზანსწრაფული ეტაპი დამთავრდა, — საქართველოში საკავშირო კომუნისტურ პარტიის მონოპოლია და ჰეგემონის როლი ჩამოერთვა, მის მაგივრად კი მმართველ და საკანონმდებლო ორგანოდ არჩეულ იქნა ახალი უზენაესი საბჭო, რომელმაც თავს იდვა საქართველოს კეთილდღეობისათვის ბრძოლის მისია, პოლიტიკური თუ ეკონომიკური კრიზისების მოგვარება, მაგრამ საქვეყნოდ ცნობილია: ნებისმიერი სახელმწიფოს პოლიტიკური მექანიზმის სრულყოფილება და მისი თვალსაჩინოება გამოწვეულია მისივე ეკონომიკის მეტ-ნაკლებად განვითარების შედეგად. საქართველოს, როგორც მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს (უპირველესად სჭირდება სწორი, რეალური საყოველთაოდ განხილული) ეკონომიკური პროგრამა, რომელიც გარდა მატერიალური ბაზისისა, ასევე წარმატებით გამოასწორებს ზნეობრივ-მორალურ და სხვა უარყოფითი გამოვლინებების მიზეზებს. მითუმეტეს საჭიროა იგი დღეს, როცა მრავალ ჭირთა მთმენი ქართველი ერი ესოდენ დაბნეული და გაორებულია. მაშინ, როცა უზენაეს საბჭოსა და ეროვნულ კონგრესს შორის განხეთქილების მიზეზად პიროვნული ამბიციები ფიგურირებს.

ეროვნული კონგრესის მიერ უზენაესი საბჭოსადმი რამდენჯერმე შეთავაზებული იყო ერთობლივი მოქმედების გზა, რა თქმა უნდა, საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე, მაგრამ უზენაესი საბჭოს მიერ ამ მოწოდებას უარი ეთქვა, რამაც ისედაც მწვავე სიტუაცია ამ ორ მხარეს და მათ მომხრეთა შორის უფრო გაამწვავა და ურთიერთმტრული ატმოსფერო წარმოშვა. ეს ხვალ თუ ზეგ ძნელი გახდება... თუნდაც მოხერხებულიყო მათი შეკავშირება საბოლოოდ. ვიმეორებ, საბოლოოდ მაინც ვერ მივაღწევდით იმ მიზნებს, რომელთაც ძალიან დიდის ნატვრით და იმედით ელოდება საქართველო, რადგან, ჩვენის აზრით, როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს ისეთი რეალური, სრულყოფილი, სამოქმედო პროგრამა არ გააჩნია, რომელიც საქართველოს გამოიხსნის ამ დიდი გასაჭირიდან. რაც არ უნდა საოცრად მოგვეჩვენოს, ამგვარი სრულყოფილი პროგრამა-პროექტი დიდი ხანია რაც ჩვენთან არსებობს და აღმაშფოთებელია ის ფაქტი, რომ იგი საყოველთაო სახალხო განხილვის საგანი ჯერაც არ გამხდარა იმიტომ, რომ მისი განხილვის შემდეგ, ხალხი უეჭველად ირწმუნებს მის სრულყოფილებას, ჭეშმარიტებას, მით უმეტეს თუ იგი არა მარტო საქართველოსა, არამედ მთელი მსოფლიოს ხალხების გამოფხიზლების საკუთარი თავის შეცნობის, სიამაყის და ბედნიერების მომტანია.

საქართველოს 42 რაიონის რაიკომის მდივნებმა და რაიაღმასკომის თავმჯდომარეებმა, აღნიშნული პროგრამა-პროექტის გაცნობის შემდეგ, მოსთხოვეს მინისტრთა საბჭოს, მის მაშინდელ თავმჯდომარეს ნოდარ ჭითანავას დახმარება, რათა მათ რაიონებში გაშენებულიყო თუნდაც ერთი საჩვენებელი „წრიული სოფელი“. მათ გარდა, 15-ზე მეტმა ორგანიზაციამ უკვე არა ცალკეულ რაიონში, არამედ საქართველოს მასშტაბით მოსთხოვა იგივე აღნიშნულ ადრესატს. ამ მიმართვა-მოთხოვნებს თან ერთვოდა ბ-ნ მერაბ კოსტავას და ზვიად გამსახურდიას ინდივიდუალური და საერთო წერილები, რომელთაც ხელს აწერდა 36 ადამიანი და რომელთაც არც დადებითი და არც უარყოფითი პასუხი არ ღირსებიათ ან, რას წერდა ბ-ნი მერაბი ამ პროექტის შესახებ: „მე მთელის სულით და გულით ვუჭერ მხარს მხატვარ-დიზაინერ შალვა შიოს ძე კაჭარავას იდეას ახალი ქართული „წრიული სოფლების“ საქართველოს მასშტაბით გაშენების თაობაზე. იგი მიმაჩნია საქართველოს ზნეობრივი გაჯანსაღების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობად. ქართული სოფელი უნდა აღდგეს მთელი თავისი ტრადიციული მამა-პაპური ჩვევებითა და იერსახით. მაშ ასე, დავუბრუნდეთ დედა-ბუნების წიაღს რამეთუ ბუნების შემეცნება გზაა ღვთისაკენ. ჩვენთან არს ღმერთი“. მერაბ კოსტავა 12/VIII-89 წ.

ბატონი მერაბი მისთვის ჩვეული ვაჟკაცობით და შემართებით იბრძოდა საქართველოში „წრიული სოფლების“ დამკვიდრებისათვის, რადგან როგორც თვითონ ამბობს, „ბუნების შემეცნება გზაა ღვთისაკენ“, ამას მოწმობს მის მიერ შეგროვებული ყველა ზემო ნახსენები ორგანიზაციების მიმართვები, რომელნიც ეხლა მის საქაღალდეშია შენახული და რომელთაც იგი ყველაზე მამხილებელ და პრაქტიკულ იარაღად მიიჩნევდა მაშინდელი მონოპოლიური აპარატის წინააღმდეგ. ეს მაშინ... ეხლა კი სიტყვა ახალ მინისტრთა საბჭოზეა, (თავ-რე თ. სიგუა), მან უნდა შეისწავლოს ყველა ის დოკუმენტური მასალა, რომელიც ზემოთ აღნიშნული ორგანიზაციებისაგან და ცალკეული პირებისაგან არის გაგზავნილი და ამ საკითხის შესახებ ან დადებითი ან უარყოფითი პასუხი გასცეს ხალხს მასობრივი ინფორმაციის საშუალებით. მით უფრო, რომ დღეს მისგან დახმარებას ითხოვს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შრომა-გასწორების დაწესებულებების სამმართველო— აღნიშნული პროექტის მიხედვით ამ „დიდმნიშვნელოვანი საერო საქმის განხორციელებისათვის“. აგრეთვე რუსეთიდან დაიწყო დენადობა მოთხოვნებისა საქართველოს მინისტრთა საბჭოს მისამართით, რომ გაიცეს მათზე მუშა ნახაზები ამ პროექტისა, რათა თავის სამშობლოში შეუდგნენ მის პრაქტიკულ განხორციელებას. გაგაცნობთ ერთ-ერთ მიმართვას:

**Клуб семьи «ГАРМОНИЯ» принял к реализации концепцию жизни предложенную Ш. Качарава из Тбилиси, и просит информировать о состоянии дел в проектировании и строительстве подобных деревень в Грузии.**

**Клуб будет признателен за рабочий проект деревни если он уже готов.**

ყველა ეს დოკუმენტური მოთხოვნა-მიმართვები (გარდა უკანასკნელისა) გაგზავნილ იყო აგრეთვე თითქმის ყველა არაფორმალურ ორგანიზაციაში საკითხის ღრმად შესწავლისა და შემდგომ მისი პოპულარიზაციისათვის, გარდა „საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგინების პარტიისა“, რომელმაც თავისი დადებითი დამოკიდებულება პრესის საშუალებით გამოხატა, სხვა არც ერთმა პარტიამ თუ ორგანიზაციამ იგი ყურადღების ღირსადაც არ ჩათვალა...

უნდა ითქვას, რომ „წრიული სოფელი“ არ არის მხოლოდ მატერიალურ-ეკონომიკური ბაზის საიმედო გარანტი, იგი ერთადერთი გამოსავალია დღევანდელი ურთულესი სიტუაციიდან. იგია ყველა უარყოფითი გამოვლინებების ერთხელ და სამუდამოდ გამოსასწორებელი, მისი დამკვიდრების შემდეგ მყარდება ყველგან უანგარო სიკეთე, ჰუმანიზმი, ძმათა სიყვარული და აბსოლუტური ბედნიერება, არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს მსოფლიოში!

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, და იმის გამო, რომ უზენაესმა საბჭომ, ასევე ეროვნულმა კონგრესმა და მასში შემავალმა ორგანიზაციებმა ყურადღება არ მიაქციეს ამ ჭეშმარიტად ღვთიურ გზას და პროექტი შეუსწავლელად და გაუცნობიერებლად მათგან უარყოფილია, მე პროტესტის ნიშნად გავდივარ როგორც „საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგინების პარტიიდან“, ასევე ეროვნული კონგრესიდანაც, რადგან უმტკიცესად მწამს „წრიული სოფლის“ იდეა-არსის ჭეშმარიტება და ამ გზის ერთადერთობა სრულქმნილი ბედნიერებისაკენ, როგორც ოდით თქმულა: ჭეშმარიტება ერთია, ვითარცა ღმერთი.

**ზურაბ ბოზრიშიანი**
**1991 წლის 9 იანვარი.**

P. S. ბევრი, ალბათ, დამძრახავს ჩემი შესაძლოა რადიკალური მოსაზრებებისა და ქმედების გამო, მაგრამ ვთხოვ მათ, ჯერ გაერკვნენ საქმის ვითარებაში და მერე განმსაჯონ.

## მოსკოვის ქართველთა სათვისტომოში

საზოგადოება „თვისტომის“ დავალებით მივლინებით მომიხდა მოსკოვში გამგზავრება. ჩემი მთავარი მიზანი იყო შევხვედროდი მოსკოვში მცხოვრებ ქართველებს, დამემყარებინა მათთან საქმიანი კონტაქტები და დამეზუსტებინა სამშობლოში დაბრუნების მსურველთა სია.

სათვისტომოს პრეზიდენტი, ბატონი ავთანდილ ქორიძე შეუძლოდ ბრძანდებოდა, თუმცა ტელეფონით მაინც დავუკავშირდი მას. გულთბილი საუბრის შემდეგ ბატონმა ავთანდილმა ჩემთან შეხვედრის დიდი სურვილი გამოთქვა. მაგრამ ვერ მოხერხდა. მოგვიანებით შევხვდი მოსკოვის სათვისტომოს წარმომადგენელს, ნოდარ გაგუას. მან გადმომცა იმ ქართველთა სია, რომელთაც სამშობლოში სურთ დაბრუნება. სათვისტომოს წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა 24 იანვარს საღამოს შვიდ საათზე „მზიურის“ პრეს-კლუბში. მოსკოვის ქართველთა სათვისტომოსთვის დარბაზობა არის ყოველკვირეული ღონისძიება, სადაც წყდება ყველა საჭირბოროტო საკითხი და, მიუხედავად ურთიერთშორის კეთილგანწყობისა, დარბაზის სხდომის დროს უკომპრომისონი და მომთხოვნი არიან ერთმანეთის მიმართ. დარბაზის ყოველი წევრი პასუხს აგებს თავის სიტყვაზე. დარბაზს თავმჯდომარეობდა სათვისტომოს წარმომადგენელი ვიტალი დვალიშვილი. მთავარი საკითხი, რომელიც აქ განიხილეს, გაზეთის გამოცემასთან იყო დაკავშირებული. გაზეთის დროებითმა მთავარმა რედაქტორმა ნუგზარ შენგელიამ გულისტკივილით აღნიშნა, რომ გაზეთი გამოსაცემად თითქმის მზადაა, მაგრამ მათ საქართველოდან ვერ მიიღეს დაპირებული ქაღალდი, არადა მოსკოვში გამომავალი ქართული გაზეთის დანიშნულებაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია. ეს გაზეთი გამოვა ქართულ და რუსულ ენაზე და შეეცდება რუსი მოსახლეობის დემოკრატიულ ნაწილს გააცნოს ქართველი ხალხის სატკივარი. როგორც კრებაზე აღინიშნა, გაზეთის მომზადებაში თავი გამოიჩინეს: გია მეფარიშვილს, ვიტალი წერეთელს, კახა ლომაიას. რაკი საქართველოდან დაპირებული ქაღალდი გვიანდება, დარბაზის წევრებმა გადაწყვიტეს პირველი ნომრისთვის საკუთარი ჯიბიდან გაეღოთ სახსრები და შავ ბაზარზე ეშოვათ საჭირო რაოდენობის ქაღალდი. შავ ბაზარზე კი, მოგეხსენებათ, რა ძვირი ჯდება ქაღალდის შეძენა. საუბარში მონაწილეობდნენ დარბაზის წევრები: ნოდარ ბერიძე, როინ კონჯარია და სხვები.

სხდომაზე გულისტკივილით აღნიშნეს ის ფაქტიც, რომ მოსკოვში მცხოვრები ქართველების უმრავლესობა საერთოდ არ ღებულობს რუდუნებით გამოწერილ ქართულ ჟურნალ-გაზეთებს, ხოლო ვინც ღებულობს, ერთი თვის დაგვიანებით. იქნებ ეს სამწუხარო ფაქტი გაითვალისწინონ პრესისა და ფოსტის მუშაკებმა და დროულად მიაწოდონ გაზეთები სამშობლოზე ფიქრით ნოსტალგიით შეპყრობილ თანამემამულეებს, მათთვის ამას ხომ საარსებო მნიშვნელობა აქვს.

წამოსვლისას მოსკოვის სათვისტომოს წევრებს აღვუთქვი, რომ საზოგადოება „თვისტომი“ გულთან მიიტანს ყველა მათ სატკივარს და შეეცდება სამშობლოში დაბრუნების მსურველთა აღმოჩენის საქმიანი დახმარება.

**ხვარიონ ნადირაძე,**
**საზოგადოება „თვისტომის“ ვიცე-პრეზიდენტი**

## ჩვენი პოლიტიკური შიმშილობა მოსკოვში

როგორც ყველასათვის ცნობილია, სსრკ პრეზიდენტის მ. ს. გორბაჩოვის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულებით სამაჩაბლოდან უნდა გამოგვეყვანა ქართული მილიცია. ამან საქართველოში მასობრივი პროტესტი გამოიწვია და ამ პროტესტის ნიშნად საქართველოს 47 წარმომადგენელმა გადავწყვიტეთ მოსკოვში მოგვეწყო პოლიტიკური შიმშილობის აქცია. ჩვენს შორის იყვნენ ოსებიც, ძირითადად გორის რაიონიდან. აგრეთვე საქართველოს პარლამენტის ორი წევრიც — ვალტერ შურღაია და ზაურ ქობალია.

მოსკოვში ჩვენ მხარს გვიჭერდა ქართული სათვისტომო, ადგილობრივი მოსახლეობა, ისინი ჩვენთან მეორე დღიდანვე მოდიოდნენ და სოლიდარობას გვიცხადებდნენ. ჩვენს „საშინაო“ მოთხოვნებთან ერთად, პროტესტს ვაცხადებდით აგრეთვე კრემლის დიქტატზე ლიტვაში.

შიმშილობის დღეებში ჩვენთან ინტერვიუებისათვის მოდიოდნენ როგორც მოსკოველი, ისე —საზღვარგარეთელი კორესპონდენტები.

შიმშილობის აქციას ბოლომდე მართალია, ყველამ ვერ გაუძლო ჯანმრთელობის გაუარესების გამო, მაგრამ ყველანი ბოლომდე ერთგული ვიყავით ჩვენი პოლიტიკური მრწამსისა.

როგორც იცით, შიმშილობა შევწყვიტეთ სსრკ პარლამენტის წარმომადგენელთა თბილისში ჩამოსვლის შემდეგ.

მე, როგორც ამ აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ, მინდა მადლობა ვუთხრა იმ ექიმებს, რომლებიც მოსკოვში ჩვენს ჯანმრთელობას იცავდნენ, აგრეთვე ქართულ სათვისტომოს და ყველა პროგრესულად მოაზროვნე მოსკოველს, რომლებიც მხარს უჭერენ რესპუბლიკების სუვერენიტეტს. (დამერწმუნეთ, ასეთები მრავლად არიან...). მადლობა მინდა ვუთხრა იმ თბილისელ მოქალაქეებსაც, რომლებიც გვამხნევებდნენ და ჩვენს მხარდასაჭერად მოსკოვშიც კი ჩამოფრინდნენ.

ასე ერთად, ერთმანეთის მხარდამხარ უნდა ვიბრძოლოთ ჩვენი საქართველოს თავისუფლებისა და კეთილდღეობისათვის, მხარი უნდა დავუჭიროთ ჩვენს მიერვე არჩეულ პარლამენტს. გვფარავდეს ღმერთი!

**თინა იმნაძე**



## რატომ არა გვაქვს



## ელექტროენერგია

რახანია განვიცდით ელექტროენერგიის ნაკლებობას, მაგრამ ვერა და ვერ შევეჩვიეთ იმას, რომ ტელევიზორი მხოლოდ გარკვეულ საათებში შეგვიძლია ჩავრთოთ, პურის რიგში საათობით ვიდგეთ და ვინ მოთვლის კიდევ რამდენ უსიამოვნო ფაქტს... და მაინც, რა კონკრეტულმა მიზეზებმა გამოიწვია ელექტროენერგიის დეფიციტი და შეიცვლება თუ არა ესოდენ არასასურველი ვითარება უახლოეს მომავალში? — ამ კითხვებით ჩვენმა კორესპონდენტმა მიმართა საქენერგოს გენერალურ დირექტორს ბატონ **ზურაბ მინდელს**. აი, რა გვიპასუხა მან:

— დავიწყებ იმით, რომ ელექტროენერგიის ასეთი გადატვირთვა, წელს რომ რესპუბლიკას აქვს, არასოდეს ყოფილა. ამის ერთ-ერთი უპირველესი მიზეზი ისაა, რომ გაზით მომარაგება საოცრად შემცირდა, რის გამოც გათბობა საცხოვრებლებსა თუ მთელ რიგ საწარმოებსა და ორგანიზაციებს ძალზე ნაკლები, ან საერთოდ არა აქვს. ასეთ ვითარებაში მოსახლეობა, ცხადია, ცდილობს ელექტროღუმელებით გავიდეს ფონს, ღუმელების გამო კი ველარ აუდის ელექტროენერგიის გადამცემი კაბელები, მკვებავი ტრანსფორმატორები, საკომუტაციო მოწყობილობა ჭარბ დატვირთვას. გადავწყვიტეთ, გამოგვერთო ელექტროენერგიის მიწოდება კოოპერატივებისათვის, მეხუთე დღეა გაჩერებულია დიდი საწარმოებიც, მაგრამ დედაქალაქში ელექტროენერგიის ხარჯვა მაინც ძალზე დიდია. თავად განსაჯეთ: თუ თბილისის დატვირთვა იყო 10 მილიონ კილოვატ-საათი და საწარმოების გამოთიშვის შემდეგ ვვარაუდობდით, რომ გახდებოდა 7 მილიონი კილოვატ-საათი, აღმოჩნდა, რომ ახლაც ელექტროდენის დღე-ღამური ხარჯვა არის 9 მილიონ კილოვატ-საათი.

რასაკვირველია, მარტო ელექტროღუმელების „ბრალდება“ არ იქნება სწორი, ელექტროენერგიის დეფიციტი გამოიწვია იმანაც, რომ ჩრდილო კავკასია, რომელიც გვაწვდიდა ელექტროენერგიას, თავად განიცდის მის დეფიციტს (თუმცა მაინც გვეხმარება გარკვეულწილად). სასომხეთის ატომური ელექტროსადგურის გაჩერების შედეგად მისი შესაძლებლობა ელექტროენერგიის გაცემისა, სამწუხაროდ დაეცა. სერიოზულად შემცირდა ელექტროდენის გადმოდინება აზერბაიჯანიდანაც. ასე რომ, ყოველივე ეს ერთმანეთს დაერთო და ჯამში უზარმაზარი, ძალზე სერიოზული და ძნელად გადასაჭრელი პრობლემის წინაშე აღმოვჩნდით.

თვითკრიტიკის სახით ვიტყვით, რომ ელექტროენერგიის ხმარების შეზღუდვები ძალიან გვიან დავიწყეთ: ნოემბრის თვიდან რიგი საწარმოების გამოთიშვა დღე-ღამის განმავლობაში თითო-ოროლა საათით, რა თქმა უნდა, ბევრად უფრო უმტკივნეულო იქნებოდა, ვიდრე ის, რომ ამგვარი შეზღუდვები, თანაც თითქმის მთელი დღე-ღამის მანძილზე, დავიწყეთ იანვარში.

თვითონ მთავრობამაც გამოიტანა დადგენილება, რომლის მიხედვით გაცემულ იქნა ლიმიტი საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის ელექტროენერგიის მოხმარების 48%-ით შეზღუდვისა, მაგრამ მათ ეს არ შეასრულეს, რაც კიდევ ერთი მიზეზი გახდა იმისა, რომ დღესდღეობით ათასობით საწარმოა გაჩერებული.

არ მინდა საზოგადოებაში საგანგაშო განწყობილება გამოიწვიოს ჩემმა განცხადებამ, მაგრამ ფაქტს ვერსად გავექცევით: უახლოეს ერთ თვეში მდგომარეობა არ გამოსწორდება. ჩვენი, ქართული უყაირათობითა და დაუდევრობით ვითარება შეიძლება უფრო დაიძაბოს და გაუარესდეს. ამ საღამოს მარტო თბილისში, ოჯახებში უმიზნოდ აინთება 13 მილიონი ნათურა. ამიტომ მოვუწოდებ ჩვენს თანამემამულეებს: გამოზომილად ეხარჯოდ ელექტროდენი, ვიყოთ ყაირათიანები და უმიზეზოდ ნუ დავხარჯავთ ჩვენთვის ყველასათვის ჰაეროვით საჭირო ელექტროენერგიას.

**სურათებზე: საქენერგოს გენერალური დირექტორი ზურაბ მინდელი; სადისპეტჩერო პულტი; ოლეგ ბველესიანის ფოტოები.**

## რეკლამა

თუ გსურთ საქმიანობის ნებისმიერ სფეროში კონტაქტების დამყარება აშშ-ს საშუამავლო ფირმასთან „Chiapella'k“, ან აწარმოოთ მოლაპარაკებები PS-2 სისტემის კომპიუტერების შეძენაზე, მათ ერთობლივ წარმოებაზე ფირმასთან Alpine computer compans, გთხოვთ, სასწრაფოდ დარეკოთ ტელეფონებზე 22-04-25. აშშ-ს ფირმებთან მოლაპარაკებები ჩატარდება ა. წ. 4-7 თებერვალს.

**ტექინფორმი**

სამეცნიერო-სასწავლო ცენტრი „აია“ ა. წ. 18-23 თებერვალს აწყობს ცნობილი გერმანული ფირმის „სარტორიუსის“ პრეზენტაცია-სიმპოზიუმს, რომელიც მემბრანული ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენების საკითხებს ეძღვნება.

პრეზენტაცია-სიმპოზიუმზე განხილული იქნება მემბრანული ტექნიკის ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელებში, მედიცინაში, ფარმაკოლოგიაში, ბიოლოგიაში, მიკრობიოლოგიაში და ა. შ. გამოყენების საკითხები. ღვინის ქარხანაში მოეწყობა, „სარტორიუსის“ ფილტრებით წითელი და თეთრი ღვინის გაფილტვრის დემონსტრაცია, მისი მიკრობიოლოგიური ექსპრეს-ანალიზი და დეგუსტაცია.

ამასთან ერთად, ფირმა „სარტორიუსი“ დაინტერესებულია, აწარმოოს მოლაპარაკებები საქმიან თანამშრომლობაზე.

ცნობებისათვის ა. წ. 11 თებერვლამდე გთხოვთ, დაგვირეკოთ ტელეფონებზე: 98-31-89; 22-04-25.

სსც „აია“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქრონიკა, ინფორმაცია, განცხადება

1991 წლის 4 თებერვალს საქართველოს პოლიტიკური განათლების რესპუბლიკურ სახლში 14.00 საათზე შესდგება სახალხო ფრონტის დარბაზის ღია სხდომა.

**მისამართი: დავით აღმაშენებლის გამზ. № 61.**

**საქართველოს სახალხო ფრონტის სამდივნო.**

●

თბილისში, რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში 24-25 იანვარს მიმდინარეობდა ილია ჭავჭავაძის საზოგადოების II ყრილობა. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოება თბილისის, ცხუმ-აფხაზეთის, გაგრის, ყვარელის, აჭარა-გურიის, ქარელის, ქუთაისის, ბოლნისის, დმანისის ორგანიზაციების დელეგატები. სტუმრის სტატუსით ყრილობას ესწრებოდნენ ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თანამშრომლები. ყრილობა გახსნა ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობის წევრმა ბატონმა ნიკო ჭავჭავაძემ. პირველ დღეს ყრილობა მიჰყავდა გამგეობის წევრს ბატონ ჯუმბერ კოპალიანს. საზოგადოების რეგიონალური ორგანიზაციების წარმომადგენლები თავიანთი მუშაობის ანგარიშით წარსდგნენ ყრილობის წინაშე. მოხსენებებით გამოვიდნენ კახაბერ კახაძე, ალეკო ცუკალაშვილი, დათო დანდლიშვილი, მარინა ტოტოჩავა, აბესალომ მიქელაძე, ჯონი ლატარია, მერაბ გვაზავა, დემურ ანთია. ყრილობის მეორე დღეს თავმჯდომარეობდა გამგეობის წევრი ბატონი რაულ კუპრავა. შესწორებებითა და დამატებებით მიღებულ იქნა ახალი პროგრამა და წესდება. პროგრამაში ნათქვამია რომ — „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება არის საქართველოს პატრიოტთა ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომლის მიზანია ბრძოლა საქართველოს განთავისუფლებისათვის, დამოუკიდებელი დემოკრატიული ქართული სახელმწიფოს აღდგენისათვის. საზოგადოება ხელმძღვანელობს ილია ჭავჭავაძის იდეალებით. მისი დევიზია: „მამული, ენა, სარწმუნოება". ყრილობაზე არჩეული იქნა საზოგადოების დარბაზი 53 კაცის შემადგენლობით. დარბაზს დაევალა პირველსავე დარბაზის სხდომაზე აირჩიოს საზოგადოების ახალი გამგეობა.

**ილია ჭავჭავაძის საზოგადოების პრესცენტრი**

●

კრემლის გადაწყვეტილება — გამოიყენოს ჯარები ვითომდა სამოქალაქო მოსახლეობის დასაცავად — პოლიტიკური აქციაა, რომელიც მიმართულია საქართველოს მოქალაქეთა ინტერესების წინააღმდეგაც, — განაცხადეს საქართველოს ეროვნული კონგრესის მიერ რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის შენობასთან მოწყობილი მიტინგის მონაწილეებმა.

ორატორებმა გამოთქვეს შიში, რომ „კანონიერი" საბაბით საოკუპაციო არმიის ოფიცრები და ჯარისკაცები არა მარტო დაარღვევენ ადამიანის ელემენტარულ უფლებებს, არამედ შეიქმნება უდანაშაულო და არასასურველ ადამიანებთან ფიზიკური ანგარიშსწორების რეალური საფრთხე. მით უმეტეს, რომ არმიის დახმარებით „წესრიგის დამყარების" მწარე გამოცდილება საქართველოს უკვე აქვს.

მიტინგზე გამოაცხადეს, რომ დაიწყო უვადო შიმშილობა. მისმა ექვსმა მონაწილემ გადაწყვიტა ამგვარად გამოხატონ პროტესტი რესპუბლიკის ტერიტორიაზე საბჭოთა არმიის ჯარების პატრულირების წინააღმდეგ.

მიტინგზე ორატორები შეეხნენ რესპუბლიკაში შექმნილ ახლანდელ სიტუაციას. ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერის ირაკლი წერეთლის აზრით, რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ოქტომბრის არჩევნებმა ძლიერ შეასუსტა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში.

— ფაქტობრივად ციხეში მოხდა ადმინისტრაციის შეცვლა, — თქვა მან. — მაგრამ სამხედრო დაცვა უწინდელი დარჩა. როგორც კი „პატიმრები" შეეცდებიან ციხის შენობიდან გამოსვლას, მათ ესვრიან და დახოცავენ. იმ ტრაგედიამ, რომელიც სამაჩაბლოში მოხდა, ერთხელ კიდევ დაადასტურა „ციხის ადმინისტრაციის", ესე იგი საქართველოს უზენაესი საბჭოს, უსუსურობა. სანამ ჩვენში საოკუპაციო ჯარები დგანან, თავისუფლებაზე ფიქრიც კი ზედმეტია.

მიტინგზე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ გიორგი ჭანტურიამ წაიკითხა სოფელ ავნევის მცხოვრებთა მიმართვა საქართველოს უზენაესი საბჭოსადმი, რომელშიც გამოხატულია უდიდესი უკმაყოფილება სამაჩაბლოდან საქართველოს მილიციის გამოყვანის გამო.

**გიორგი კორძაძე,**
**რიმა შელია,**
**საქინფორმის კორ.**

●

„1991 წლის 27 იანვარს ქ. ქუთაისში ჩატარდა საქართველოს ახალგაზრდობის ქრისტიანულ-დემოკრატიული ასოციაციის მესამე რიგგარეშე კონგრესი. საქართველოს ახალგაზრდობის ქრისტიანულ-დემოკრატიული ასოციაციის მესამე რიგგარეშე კონგრესმა ქრისტიანული დემოკრატიის მსოფლიო კონცეფციის პრინციპებით მოქმედი ამ ახალგაზრდული საზოგადოებრივი ორგანიზაციის უზენაეს მიზნად დასახა საქართველოში თავისუფალი და პიროვნების პრიმატზე დამყარებული საზოგადოების აშენება ქრისტიანული ჰუმანიზმის ფასეულობებზე, თავისუფლების, მშვიდობის, სოციალური სამართლიანობის, პიროვნების ღირსების პატივისცემისა და დამოუკიდებლობის პრინციპებზე დაფუძნებული პოლიტიკის განვითარებითა და რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების დემოკრატიზაციაში ახალგაზრდობის აქტიური მონაწილეობის გზით.

ასოციაცია დაიცავს ახალგაზრდების პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ უფლებებსა და პიროვნების ღირსებას, ხელს შეუწყობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქრისტიანული ზნეობის პრინციპების დამკვიდრებას, დამოუკიდებელი და სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნას. სოციალურ-ეკონომიკური აღმავლობის პროცესებს, კულტურის თავისუფალ განვითარებას, იზრუნებს ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე, კვალიფიცირებული კადრების აღზრდასა და მათთვის პრაქტიკული გამოცდილების მიღებაზე, თავისუფალი შემოქმედებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნაზე, აქტიურ მონაწილეობას მიიღებს საქართველოს ახალგაზრდობისათვის მნიშვნელოვანი პრობლემების (ფსიქოლოგიური, ეკოლოგიური, კვალიფიცირებული განათლებისა და დასვენების და სხვ.) გადაჭრაში.

კონგრესმა, რომელსაც ესწრებოდნენ ასოციაციის თითქმის ყველა რეგიონალური ორგანიზაციების დელეგატები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, დაადგინა, რომ ასოციაცია არ სცნობს ახლახან შექმნილ ე. წ. „საქართველოს ახალგაზრდობის ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირს", როგორც ქრისტიანული დემოკრატიის იდეების გამტარებელ ორგანიზაციას.

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე სახელმწიფო საწარმოების, გაერთიანებების, ასოციაციების, კოოპერატივების, სავაჭრო-საბითუმო ბაზების ხელმძღვანელთა და მოქალაქეთა საყურადღებოდ!

თავისუფალი ინიციატივების ასოციაცია "ზ ვ ა რ ი" გახდა რუსეთის სასაქონლო და ნედლეულის ბირჟის აქციონერი

ასოციაციის ბროკერული ფირმა

"ტ ა ო"

გთავაზობთ მომსახურებას

ნ ე ბ ი ს მ ი ე რ ი საქონლისა და ნედლეულის შეძენა-გასაღებაში, რომელიც ბირჟის ყოველდღიურ ბრუნვაშია. ეს შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის ნედლეული, საშენი მასალები, სოფლის მეურნეობის პროდუქცია, ქიმიური, სამედიცინო და პარფიუმერული მრეწველობის პროდუქცია, მსუბუქი მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონელი, სხვადასხვა სახის ელექტრონული და კომპიუტერული ტექნიკა, ჩარხები, სატრანსპორტო საშუალებები, უძრავი ქონება და სხვა.

ვაჭრობა ბირჟაზე ტარდება კვირაში სამჯერ.

შეკვეთების მიღება წარმოებს ყოველ სამუშაო დღეს 10 სთ-დან 14 სთ-მდე.
თქვენი შეკვეთები - ჩვენი დროული და ოპერატიული მომსახურება მომხმარებლის ინტერესების უციდობელი დაცვით.

თუ თქვენ დაინტერესდით, ჩაიწერეთ ჩვენი მისამართი:

თბილისი-380002, ხეთაგუროვის ქ.26, II სართული, ოთახი N02.
ფაქსი: (8832)96-00-69
ტელეფონები: 96-02-16, 96-02-78, 95-06-03 .

# შეხვედრა ჯანდაცვის მინისტრთან

31 იანვარს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროში გაიმართა პრესკონფერენცია მინისტრ **ირაკლი მენაღარიშვილთან.** იგი პრესკონფერენციაზე მოწვეულ რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთებისა და რადიო-ტელევიზიის ჟურნალისტებს ესაუბრა დარგის გარდაქმნის პერსპექტივებზე, მედიკოსების წვლილსა და მონაწილეობაზე სამაჩაბლოში მიმდინარე პროცესებზე. კერძოდ, მან თქვა, რომ შეიქმნა ჯანდაცვის ეკონომიკის ინსტიტუტი, რომლის ბაზაზეც, უკვე ორი წელია, მუშავდება დარგის გარდაქმნის კონცეფცია. გარდაქმნაში იგულისხმება არსებული სისტემის შეცვლა სადაზღვევო პრინციპით, სამეურნეო ანგარიშის დანერგვით. ერთი სიტყვით, ჯანდაცვის ისეთი მოდელით, რომელიც დღესდღეობით ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში მოქმედებს. უკვე მომზადებულია კანონქვემდებარე აქტების პირველი წყება და იგი მალე წარედგინება რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს. მაგრამ, ვიდრე ისინი კანონის ძალას მიიღებდნენ, ალბათ, ფართო განხილვისათვის პრესაშიც გამოქვეყნდება.

ასევე დაწყებულია მუშაობა სამედიცინო განათლებისა და სოცუზრუნველყოფის სისტემების რეფორმებზეც. ამ საქმეში რესპუბლიკამ საკუთარი კანონები უნდა შეიმუშაოს. საქართველოში უნდა შეიქმნას საპენსიო ფონდი, მზადდება ახალი სისტემის მოდელი ინვალიდთა და მარტოხელა მოქალაქეთა სოციალური დაცვის გაუმჯობესებისათვის.

საქართველოში პირველად დაიწყეს მუშაობა ჯანდაცვის ეროვნული პროგრამების შესამუშავებლად გულ-სისხლძარღვთა დაავადებების შემცირებისა და შიდსის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით. ეს ორივე პროგრამა მუშავდება საერთაშორისო ასოციაციებთან და ინსტიტუტებთან ურთიერთთანამშრომლობით.

მინისტრმა ისაუბრა, აგრეთვე, რესპუბლიკის მოსახლეობის მედიკამენტებით მომარაგების გაუმჯობესების საკითხებზე. მან თქვა, რომ დაიწყეს პირდაპირი კონტაქტების დამყარება ფარმაკოფირმებთან. წამლების მოწოდებაზე ხელშეკრულება დაიდო უკრაინასა და ესტონეთთან. სასურველია ასეთი ხელშეკრულების დადება რსფსრ-სთან, რადგანაც ფარმაცევტული ინდუსტრიის დიდი ნაწილი სწორედ ამ რესპუბლიკაშია და ამჟამად ეს მოლაპარაკება დაიწყო კიდეც. ამის პარალელურად ჯანდაცვის სამინისტრო ეძებს სავალუტო სახსრებს, რათა უცხოეთში შეიძინოს მედიკამენტები. (სხვათა შორის, საქართველოს სუკ-მა ერთი მილიონი გერმანული მარკა გამოყო ამისათვის და კარგი იქნება, თუ მას სხვა ორგანიზაციები და დაწესებულებებიც მიბაძავენ...).

ამ საქმეში დახმარების ხელი გამოგვიწოდეს ჰოლანდიის, იტალიის, თურქეთის, ლუქსემბურგის, გერმანიის ცალკეულმა ფირმებმა თუ დაწესებულებებმა. მაგალითად, საარლანდის მხარემ 2 მილიონი მარკა შეაგროვა საქართველოსათვის და აქედან 1 მილიონისა უკვე შეიძინეს მედიკამენტები და საბავშვო საავადმყოფოებისათვის საჭირო აღჭურვილობა. როგორც გვაცნობეს, ისინი 16 და 20 თებერვალს (თვითმფრინავის ორი რეისით) ჩამოგვიტანენ ამ საჩუქარს. ხოლო 18 თებერვალს ჩვენი სახელოვანი მომღერლის პაატა ბურჭულაძის ინიციატივით ლოზანაში გაიმართება გალა-კონცერტი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოს სახელგანთქმული მომღერლები და რომლის მთლიანი შემოსავალიც საქართველოს ბავშვებს მოხმარდება (ჩვენიდან ამ კონცერტში მონაწილეობას მიიღებს მაია თომაძეც).

გარდა ამისა, ამერიკის დებორას ცენტრში (იგი საქართველოში უკვე კარგადაა ცნობილი ამასწინანდელი ვიზიტითა და თბილისში გაკეთებული ოპერაციებით) სტაჟირებას გადის ჩვენი ორი კარდიოქირურგი. წელს იქ სამი ასეთი ჯგუფი მომზადდება. კადრების მომზადების ასეთივე ხელშეკრულებებს ვდებთ იტალიის, ჰოლანდიისა და თურქეთის ცნობილ კლინიკებთან.

რაც შეეხება სამაჩაბლოში მიმდინარე პროცესებს, იქ პირველივე დღიდან მუშაობენ ქართველი ექიმები. დაჭრილებს მკურნალობენ გორის, ქარელისა და ტყვიავის საავადმყოფოებში. სამაჩაბლოშია გაგზავნილი თბილისის სასწრაფო დახმარების 5 ბრიგადა.

ჟურნალისტებმა შეკითხვა დაუსვეს მინისტრს სპარსეთის ყურეში მიმდინარე მოვლენებიდან გამომდინარე ქიმიური და ბაქტერიოლოგიური მოწამვლის საშიშროებაზე, რაზედაც მან უპასუხა, რომ ამ მიზნით უკვე შეიქმნა თავდაცვის შტაბი, რომელშიც შედიან ჰიდრომეტცენტრის, ვეტერინალური სამსახურის, შავი ჭირის სადგურის, ფიზიკისა და რადიოლოგიის ინსტიტუტების წარმომადგენლები და გაძლიერებული კონტროლი დაწესდა სასაზღვრო ზოლზე. ჯერჯერობით ნორმიდან არანაირი რადიაციული თუ ქიმიური გადახრა არ მომხდარა. თუკი ასეთი საფრთხე შეიქმნება, შტაბი სასწრაფო გამაფრთხილებელ ზომებს მიიღებს (სხვათა შორის, ჩვენი მხრიდან გვინდა ვურჩიოთ წარმოება-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რომ ყოველი შემთხვევისათვის ის მაინც გაარკვიონ, სად მდებარეობს მათი თავდაცვის შტაბი და არის თუ არა იქ თუნდაც თანამედროვე აირწინაღების საჭირო მარაგი...).

პრესკონფერენციაზე საუბარი იყო მედიკამენტებით ვაჭრობის იატაკქვეშა ქსელზე, ექსტრასენსების სიმრავლეზე და სხვა, ჩვენი ცხოვრებისათვის მტკივნეულ საკითხებზე.

**საკუთარი ინფორმაცია**

დღეს მთელი ახლო აღმოსავლეთი ომის ცეცხლშია გახვეული. ამასთან დაკავშირებით რედაქციაში მოგვდის არაერთი წერილი და დეპეშა, რომლებშიც შეშფოთებაა გამოთქმული, ხომ არ მოგველის ჩვენც ხიფათიო. ახლა უკვე ნათელია, რომ როგორც ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწე და სამხედრო სპეციალისტი ვარაუდობდა, ე. წ. „ელვისებური ომის" პროგნოზი არ გამართლდა. ვითარებას ისეთი პირი უჩანს, საბრძოლო მოქმედებები აღნიშნულ რეგიონში შეიძლება კიდევ თვეების მანძილზე გაგრძელდეს. ამასთან, მოსალოდნელია ომში სხვა ქვეყნების ჩართვაც (ამა თუ იმ ფორმით), რაც რასაკვირველია, ბევრ გაუთვალისწინებელ შედეგს გამოიწვევს. ომის „გამრავალფეროვნება", სხვადასხვა სახეობის ჯარების ჩართვა, ბუნებრივია, უარყოფით დაღს დაასვამს ჩვენს გარემოს, ფლორას, ფაუნას და ა. შ. უპირველესი საზრუნავი მაინც ადამიანია. ჩვენი კორესპონდენტი ეწვია საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო თავდაცვის შტაბის უფროსის მოადგილეს, პოლკოვნიკ **რევაზ გიორგის ძე ნაფეტვარიძეს** და რამდენიმე შეკითხვით მიმართა მას. (სამოქალაქო თავდაცვის შტაბის უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი მ. ელბაქიძე ავად არის, ბატონი რევაზი მის მოვალეობას ასრულებს. რედ.)

ქისა და არ გამოვთქვა შემდეგი მოსაზრება: უკანასკნელ თვეებში, მოვლენები, როგორც შინ, ისე გარეთ ძალზე დაიძაბა. ბევრი ღირებულება გადაფასდა, ადამიანები დაძაბულები და გაღიზიანებულები არიან, ბევრნი კი, ზუსტად თუ ვიტყვით, გაბოროტებულნიც. ასეთ სიტუაციაში გარკვეული გასაქანი შეიძლება მიეცეს საძრახის საქმიანობაში ე.წ. „მეხუთე კოლონას". კერძოდ, მე მაშინებს, ვინმემ არ გაიწყვიტოს შუბლის ძარღვი და არ შეეცადოს, დავუშვათ ჩვენი სუფთა წყლის აუზის მოწამვლას. ეშმაკს არ სძინავს, ასე რომ, სამოქალაქო თავდაცვის შტაბს ყველანი უნდა ამოვუდგეთ მხარში, ვისაც ერი, სამშობლო, ნათესავ-მეგობრები და საკუთარი თავი გვიყვარს...

## სიფრთხილეს თავი არ სტკივა

# ჩვენ და ახლო აღმოსავლეთის მოვლენები

**— ბატონო პოლკოვნიკო, ამ დღეებში პროგრამა „ვრემიამ" გადმოსცა, რომ სპარსეთის ყურეში მიმდინარე სამხედრო კონფლიქტში ქიმიური იარაღის გამოყენების შემთხვევაში, შეიძლება გარკვეული ზიანი მიადგეთ სამხრეთის რესპუბლიკებს. თქვენ რას იტყვით ამის თაობაზე?**

— რასაკვირველია, გარკვეული ალბათობა იმისა, რომ საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობას შეიძლება შეექმნას ჯანმრთელობის მოშლის რეალური საშიშროება, არსებობს. მაგრამ, მოდით ნურც პანიკას მივეცემით და ნურც ზედმეტი არხეინობით დავიმშვიდებთ თავს. ჩემი კონკრეტული პასუხი დასმულ კითხვაზე ასეთია: თუ გულახდილად ვიტყვით, ნაკლებ სავარაუდოა, თუნდაც ერაყმა ქიმიური იარაღი გამოიყენოს, ამან რაიმე მნიშვნელოვანი ზარალი ან ჯანმრთელობის მოშლა გამოიწვიოს ჩვენში. ასევე საეჭვოა, რეგიონში რომელიმე მხარემ ბირთვული იარაღი გამოიყენოს, რადგან ეს თვითმკვლელობის დარად (ნაწილობრივ მაინც) შეფასდებოდა. რაც შეეხება შემთხვევითობებს... განა მშვიდობიანობის დროს კი დაზღვეული ვართ ყველაფრისაგან. საქართველოს მთელ რიგ ქალაქებში (თუნდაც რუსთავი ავიღოთ), საწარმოო დანიშნულებისამებრ თითქმის ყოველდღიურად ხდება ტონობით სხვადასხვა, ჯანმრთელობისათვის მავნე ქიმიური ნივთიერებების ტრანსპორტირება. ეს ხდება რკინიგზითაც, ავტოტრანსპორტითაც. ავარიას, უკიდურეს შემთხვევას ამ დროსაც შეუძლია ათობით და ასობით ადამიანი ხიფათში ჩააგდოს. ასე რომ, ლაპარაკი იმაზე, თითქოს ვაი, რა გვეშველება ერაყის თვითმფრინავს ქიმიური ნივთიერება რომ გადაჰქონდეს და მოწინააღმდეგეთა საზენიტო ჯარებმა ცეცხლი გაუხსნან, ხოლო დაჭრილმა პილოტებმა საბრძოლო მანქანა საბჭოთა კავშირზე მომართონ... მაშინ ნურც გარეთ გამოვა ზოგიერთი... ხომ შეიძლება ზემოდან აგური ჩამოვარდეს ...(მითუმეტეს ახლა მასობრივი დაშენებების ხანაში). თუ უფრო სერიოზულად შევხედავთ სპარსეთის ყურის სამხედრო კონფლიქტს, ყველაზე უფრო საშიშად ჩვენი რესპუბლიკისათვის ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენება და მისგან გამომდინარე შედეგები უნდა ჩაითვალოს.

**— იმავე „ვრემიას" და სხვა საინფორმაციო საშუალებების მიხედვით, სპარსეთის ყურის რეგიონის ქვეყნების მოსახლეობა (მაგალითად, ისრაელი) ემზადება მოსალოდნელი ქიმიური თავდასხმისათვის. ამ მხრივ საქართველოში რა მდგომარეობაა?**

— საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ბატონი **თენგიზ სიგუა** ამავე დროს რესპუბლიკის სამოქალაქო თავდაცვის შტაბის უფროსია. მესამე დღესვე ომის დაწყებიდან, ბატონი თენგიზის ხელმოწერით აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, სამინისტროებს, უწყებებს დაეგზავნათ სპეციალური დირექტივა, (18 იანვარი, 1991) რომელშიც მითითებულია იმ პროფილაქტიკური სამუშაოების შესახებ, რაც თავიდან აგვარიდებს მოსალოდნელ გართულებებს. კერძოდ, დირექტივის მიხედვით, აუცილებელია, ჯერ ერთი — სამოქალაქო შტაბებთან შეიქმნას ოპერატიული ჯგუფები, რომლებშიც დაწესებენ ხელმძღვანელი შემადგენლობის სადღეღამისო მორიგეობას, მეორე — დაზუსტდეს რადიაციული, ქიმიური და ბაქტერიოლოგიური დაზიანების წარმოქმნის შემთხვევაში, სამოქალაქო თავდაცვის ძალების გამოყენების საკითხები შესაძლო დაზიანებათა სალიკვიდაციოდ; მესამე — შემოწმდეს დამცავი ნაგებობების (თავშესაფრები, სარდაფები, ჩაღრმავებული შენობები) და მეტროპოლიტენის მზადყოფნა ადამიანთა შესაფარველად; სამეურნეო საჭიროებისათვის დაკავებული დამცავი ნაგებობები მომზადდეს გასათავისუფლებლად მათი პირდაპირი დანიშნულების გამოყენების მიზნით. მეოთხე — სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური, შავი ჭირის საწინააღმდეგო სადგურები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, ვეტერინალური, აგროქიმიური ლაბორატორიები გადაყვანილ იქნას მკაცრი ეპიდემიასაწინააღმდეგო მუშაობის რეჟიმზე, მეხუთე — მომზადდეს სამედიცინო საშუალებები განსაკუთრებით საშიში ინფექციებისაგან სასწრაფო და სპეციალური პროფილაქტიკისათვის; ორგანიზაცია გაუკეთდეს მუშა-მოსამსახურეებისა და რესპუბლიკის ტერიტორიის მთელი მოსახლეობისათვის ინდივიდუალური დაცვის აფთიაქების („აი-2") შესყიდვას.

გარდა ამისა, სარფში, ბათუმში, ფოთში, სოხუმში ათიოდე დღეა გაიხსნა სანიტარიულ-საკონტროლო პუნქტები, რათა გამოვლინდეს ჩამომსვლელ ტურისტთა თუ სხვა პირთა შორის შესაძლო დაავადებული ადამიანები.

ამავე დირექტივაში სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარებაც არის დაგეგმილი.

**— გარემო — ეს არის ჰაერი, სასმელი წყალი, წყალსატევები, ნიადაგი. თუ ხდება ჩვენთან სისტემატიური დაკვირვება ე. წ. სიჯანსაღის საერთაშორისო მაჩვენებლებზე და ხომ არა აქვს რაიმე გადახრას ადგილი, ერთი სიტყვით გარემოს კონტროლის მონაცემების ანალიზი ასევე საინტერესოა ჩვენი მკითხველისათვის.**

— რასაკვირველია, გარემოს თქვენს მიერ ჩამოთვლილი ყველა კომპონენტის სინჯის აღება ხდება სათანადო ანალიზის ჩასატარებლად: სხვათა შორის, ამგვარ ანალიზებს ამჯერად დღეში 4-ჯერ ვახდენთ — ყოველ ექვს საათში ერთხელ. საბედნიეროდ ჯერჯერობით ყველაფერი ნორმის ფარგლებშია. არ შემიძლია გავუშვა შესაძლებლობა თქვენი გაზეთის მასობრივი ტირაჟის გამოყენებისა...

**— ცნობილია, რომ 9 აპრილს, თბილისში მასობრივ ქიმიურ მოწამვლას ჰქონდა ადგილი. ამასთან ზოგიერთი საბჭოთა სპეციალისტი კატეგორიულად უარყოფს (პირველ ხანებში მაინც) ამას, ასეთმა საქციელმა ფქვენც იცით რა მძიმე შედეგებიც მოგვიტანა. ბატონო პოლკოვნიკო, იქნებ დაგვესვა საკითხი, რათა საქართველოში ახლავე მოგვეწვია ამ დარგის წამყვანი უცხოელი სპეციალისტები, რომლებიც თანამედროვე მეცნიერების მიღწევების დონეზე მოგვაწვდიდნენ ობიექტურ ინფორმაციას?**

— სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ვერავითარ საჭიროებას ვერ ვხედავ საამისოდ. სინამდვილეში, ჩვენს ხელთ არსებული აპარატურა და კადრები სავსებით გაართმევენ თავს დაკისრებულ ამოცანებს. რაც შეეხება 9 აპრილს... მაშინ ხომ „მუნდირის ღირსებამ" გადაწონა ჭეშმარიტება. ამჯერად კი, სასწორზე მხოლოდ ჩვენი ხალხის ჯანმრთელობა როდი დაიდება, არამედ რუსებისაც, სომხებისაც, თათრებისაც... ოფიცერთა ცოლებისაც და შვილებისაც... მენდეთ — საბჭოთა სამხედრო ქიმიური დაზვერვა ერთ-ერთი მოწინავეა მსოფლიოში...

**— ბატონო პოლკოვნიკო, რაიმე სურვილს ან წინადადებას ხომ არ გამოთქვამდით?**

— მინდა ამა თუ იმ დაწესებულებათა სამოქალაქო თავდაცვის შტაბების უფროსებს მივმართო: სერიოზულად მოეკიდნენ მათდამი დაკისრებულ მოვალეობებს. ცოდვა გამხელილი სჯობს, სამოქალაქო თავდაცვის ამოცანებს ადრე ბევრნი ფორმალურად, სასხვათაშორისოდ ეკიდებოდნენ. ბევრს ეგონა, რომ აირწინაღებამდე არ მივიდოდა საქმე... როგორც ვხედავთ, ცხოვრება მწარე გამოცდას გვიწყობს. აირწინაღების გახსენებაზე... ჩვენს ხელთ არსებული მასალებით, საჭიროების შემთხვევაში საქართველოს მთელი მოსახლეობა დაკმაყოფილებული იქნება აირწინაღებით. მაგრამ, თუ დავუშვათ ასეთი იყო რეალური სურათი 1990 წლის 1 ივლისისათვის... მას შემდეგ ხომ ბევრგან შტატები შემცირდა, ანდა კადრების დენადობას ჰქონდა ადგილი, ბევრნი პენსიაზე გავიდნენ... ერთი სიტყვით, შესაძლოა ამა თუ იმ დაწესებულებაში აირწინაღები სათანადო რაოდენობაზე მეტიც იყოს, მაგრამ მისი ზომები? — ზომები იქნება შესაბამისობაში ყველგან? გარდა ამისა, სავარაუდოა, რომ ზემოთჩამოთვლილ მიზეზთა გამო გარკვეული წინააღმდეგობა წარმოიქმნას სახლმართველობებში.

რაიმე სიძნელის წარმოშობის შემთხვევაში, ან გარკვეული კონსულტაციების საჭიროებისათვის, დაგვიკავშირდნენ. არავის არაფერს დავამადლით, შეძლებისდაგვარად დავეხმარებით.

დაბოლოს, მოქალაქეებს გარემოს საეჭვო მდგომარეობის შესახებ შეუძლიათ შეგვატყობინონ ელსმენით: 72-24-63; 72-51-92, ან ტელეტაიპით — 212187, 212237 — „ქიმ-შტაბი".

ესაუბრა **გელა გარაყანიძე**

# საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია — ეროვნული კავშირის

# განცხადება

საქართველოსა და საერთოდ მთელ იმპერიასა და მსოფლიოში შექმნილი უაღრესად რთული და დაძაბული მდგომარეობა ბადებს აუცილებლობას იმისას, რომ ნებისმიერი თავისუფალი და დაპყრობილი ქვეყნების პროგრესულმა და დემოკრატიულმა ძალებმა ყოველი ღონე და საშუალება უნდა გამოიყენონ იმისათვის, რათა თავიდან იქნას აცილებული გლობალური მასშტაბის მოსალოდნელი კატასტროფები და უბედურებები და რომ ერთხელ და სამუდამოდ იზეიმოს დედამიწაზე დიდი გამარჯვება თავისუფლებამ, სამართლიანობამ და კაცთმოყვარეობამ. დაპყრობილი ერებისგან წვლილის შეტანა იმ დიდ მსოფლიო ისტორიულ პროცესში, რომელიც მიზნად ისახავს მთელ პლანეტაზე დემოკრატიის, პროგრესისა და ჰუმანიზმის გამარჯვებას, მდგომარეობს, უპირველეს ყოვლისა, სრული თავისუფლების მოპოვებაში. აქედან გამომდინარე, ქართველი ერის, როგორც დაპყრობილი ერის, საკაცობრიო ვალი მოცემულ სიტუაციაში არის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, რომლის უპირველესი, უმთავრესი და უძირითადესი პირობაა საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის ე. წ. სსრ კავშირის საოკუპაციო ჯარების სრული შემადგენლობის გასვლა.

1991 წლის 23 თებერვალს საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია — ეროვნული კავშირი აწყობს საპროტესტო მშვიდობიან აქციას ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის წინ და მოუწოდებს მთელ ქართველ ერსა და საქართველოს მოსახლეობას ამა წლის 23 თებერვალს სრულიად საქართველოს მასშტაბით მოეწყოს საყოველთაო გამოსვლა საქართველოს ტერიტორიიდან საოკუპაციო ჯარების სრული შემადგენლობით დაუყოვნებლივ გასვლის მოთხოვნით. 1991 წლის 23 თებერვალს, შაბათს მანიფესტაცია დაიწყება შოთა რუსთაველის მოედანზე, კინოს სახლის წინ.

ღმერთი ფარავდეს საქართველოს!

**ირაკლი წერეთელი**

# ბალტიისპირეთის ამბები

## ლიტვა

### პრუნსკენე გამოჩნდა

ლიტვის რესპუბლიკის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა კაზემირა პრუნსკენემ თავად დაუდო ბოლო საზღვარგარეთ მისი წასვლის შესახებ ატეხილ მითქმა-მოთქმასა და ჭორებს. გაზეთ „რესპუბლიკისთვის" მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ მისთვის არავის დაუძალებია ლიტვის დატოვება. თუმცა, წასვლის კონკრეტული მიზეზები მაინც არ დაასახელა. მან უარყო, აგრეთვე, მის მიერ შვეიცარიის ქვეშევრდომობის მიღების ფაქტი.

პრუნსკენე ამჟამად გერმანიაშია და საკმაოდ აქტიურად მონაწილეობს ლიტვის დახმარების ფონდის საქმიანობაში, ტელედისკუსიებში, აძლევს ინტერვიუებს ჟურნალისტებს. კორესპონდენტის კითხვაზე, თუ რა სახსრებით ცხოვრობს, მან უპასუხა, რომ მატერიალურად მას და მის მრჩეველს რ. სტანკიავიჩუსს ეხმარება ძველი ნაცნობი, კათოლიკური აკადემიის რექტორი. გარდა ამისა, აქვს უნივერსიტეტებში ლექციების წაკითხვის საშუალებაც.

როგორც საუბრიდან გამოჩნდა, პრუნსკენე ფიქრობს ლიტვაში დაბრუნებას და ეს შესაძლებელია ორ კვირაშიც მოხდეს. თუმცა, — დასძინა მან ბოლოს, — მდგომარეობა შეიძლება შეიცვალოს..."

## ლატვია

### გორბუნოვი აყენებს რეფერენდუმის პირობებს

29 იანვარს რიგაში ჩატარდა ლატვიის რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარის ანატოლი გორბუნოვის პრესკონფერენცია. მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს საკითხებთან ერთად, გორბუნოვი შეეხო ლატვიაში რეფერენდუმის ჩატარების შესაძლებლობას და აღნიშნა, რომ მისი პირობები „მხოლოდ ლატვიის რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ უნდა განსაზღვროს".

მან მხარი დაუჭირა, აგრეთვე, იმასაც, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვას ლატვიის ყველა პოლიტიკურმა პარტიამ.

## ესტონეთი

### სამი პარტიის ლიდერთა პოზიცია

ტალინში ერთმანეთს შეხვდნენ ლატვიის შრომის დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ი. კეზბერსი, ლიტვის შრომის დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ა. ბრაზაუსკასი და ესტონეთის დამოუკიდებელი კომპარტიის პირველი მდივანი ე. ს. სილარი, რომელთაც იმსჯელეს ბალტიისპირეთში შექმნილ სიტუაციაზე.

სამი პარტიის ლიდერთა შეხვედრა დასრულდა პრესკონფერენციით. ჟურნალისტებს, ცხადია, პირველ რიგში ბალტიისპირეთის კრიზისის მიზეზები აინტერესებდათ. სამივე ლიდერის აზრი ამ საკითხზე დაახლოებით ერთნაირი იყო, თუმცა ყველაზე მწვავედ მაინც ი. კეზბერსი გამოვიდა. მან პირდაპირ განაცხადა, რომ ის, რაც ახლა ბალტიისპირეთში ხდება, არის ცენტრისა და სკკპ-ს შეთქმულება ბალტიისპირეთის სახალხო ხელისუფლებების წინააღმდეგ.

# ალორძინება არგო

გვერდის სპონსორები არიან საქველმოქმედო ასოციაცია „ალორძინება“ და ამავე [illegible] ფირმა „არგო“.

ბიბლიოთეკა

როცა გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო

## 20 საათი და 120 წუთი სამაჩაბლოში

გორის შინაგან საქმეთა განყოფილებაში, 31 დეკემბერს, დაახლოებით 17 საათზე ვიყავი. აქვე დამხვდა საქინფორმის კორესპონდენტი რიტა დოლიძე და მილიციის თანამშრომლების დახმარებით ცხინვალისაკენ გავემგზავრეთ. ხვავრიანად თოვდა...

18 საათისათვის ცხინვალის შესასვლელთან, ავტოინსპექციის ყოფილ საგუშაგოსთან ვართ. „ყოფილს“ იმიტომ ვხმარობ, რადგან აქ ამჟამად საქართველოს მილიციის შტაბია მოთავსებული. შტაბამდე მისვლაში ავტომატებით შეიარაღებული მილიციის თანამშრომლები გვაჩერებენ...

ყველაფერი ზუსტად ისეა, როგორც ამ ბოლო დროს ტელევიზიით გვაჩვენებენ: ჯავშანტრანსპორტიორები, შინაგანი ჯარების შეიარაღებული ჯარისკაცები, მილიციის შეიარაღებული თანამშრომლები, სილით სავსე ტომრებით გამაგრებული საგუშაგოები... მოკლედ, ნამდვილი საომარი განწყობილება და მდგომარეობაა.

შტაბში სხვა პასუხისმგებელ მუშაკებთან ერთად მილიციის პოდპოლკოვნიკი ავთანდილ ჯაშიც დაგვხვდა. როცა შეიტყო, რომ ჩვენ თამარაშენში გვინდოდა რამენაირად მოვხვედრილიყავით, არ დაგვთანხმდა. ამ დროისათვის მდგომარეობა თითქმის ნორმალურია. თუმცა რატომ ამ დროისათვის — სოფელ ავნევის ინციდენტის მერე სროლა ყველგან შეწყვეტილია.

— შტაბი, მე თამარაშენი ვარ... შტაბი, მე № საგუშაგო ვარ! — ისმის რაციიდან დროგამოშვებით.

აქ ვწყვეტთ რეპორტაჟს. დასასრულს შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.

**ბესო ჭინჭარაული,**
**ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი.**

---

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ბლოკის — „განთავისუფლება და ეკონომიკური ალორძინება“

## განცხადება

მრეწველთა, კოოპერატორთა, არენდატორთა საყურადღებოდ!

საქართველოს რესპუბლიკაში სამართალდამცავი და საფინანსო მაკონტროლებელი ორგანოებისათვის გაზრდილ უფლებების მინიჭებასთან დაკავშირებით საწარმოების ერთობლივი საწარმოების, კოოპერატივების, გლეხურ მეურნეობათა, მოიჯარეების სამართლებრივი და იურიდიული დაცვის მიზნით საზოგადოებრივ პოლიტიკურ ბლოკ „განთავისუფლება და ეკონომიკური ალორძინებასთან“ შეიქმნა სამეურნეო იურიდიული საფინანსო სამსახური.

სამეურნეო საქმიანობის ხელყოფასა და უკანონო საფინანსო რევიზიის ჩატარების შემთხვევაში შეგიძლიათ დაუყოვნებლივ დაუკავშირდეთ იურიდიულ სამსახურს.

სამსახურთან იმოქმედებს სპეციალური ჯგუფი SOS, რომელიც გამოძახების შემთხვევაში გამოცხადდება ადგილზე.

მისამართი: 380002 ქ. თბილისი შევჩენკოს ქ. № 6

ტელეფონი: 98-78-47; 98-78-49.

---

## საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან

**28 იანვარს** საკავშირო ტელევიზიის პროგრამა „ვრემიაში“ იყო გადმოცემული ინფორმაცია საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართული „მწვავე“ თათბირის შესახებ, რომელიც მიეძღვნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გაზეთ „ცხოვრების“ გამოცემასთან არსებულ სირთულეებს. აღინიშნა ისიც, და ვფიქრობთ, რომ სწორედ ეს იყო ძირითადი მიზანი ამ განცხადებისა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა ფაქტობრივად გამოსცემს მხოლოდ რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პერიოდულ გამოცემებს და უარს ამბობს საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის გაზეთის გამოცემაზე.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო იტყობინება, რომ 28 იანვარს ცენტრალურ კომიტეტში მართლაც გაიმართა თათბირი, რომელიც ყოველ ორშაბათს დილაობით რეგულარულად ტარდება. ეს არის სამუშაო თათბირი, რომელზეც იხილება საკითხთა ფართო წრე.

აღნიშნულ თათბირზე სხვა საკითხებთან ერთად იყო მსჯელობა გაზეთ „ცხოვრების“ შესახებაც.

თათბირზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ მიღწეულია კომპარტიისათვის მისაღები შეთანხმება გაზეთ „ცხოვრების“ გამოცემის თაობაზე. და რომ უზენაესი საბჭოს შესაბამისმა კომისიამ და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობამ საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლებთან ერთობლივად ამ მხრივ ყველა ძირითადი საკითხი გადაწყვიტა. გრძელდება მუშაობა იმ საკითხებზეც, რომლებიც ეხება ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის მუშაობის ხასიათს მომავალში.

ეტყობა იმ პირს ან პირებს, რომლებმაც ხსენებული თათბირის შესახებ შეგნებულად დამახინჯებული ინფორმაცია გადასცეს მოსკოვში, საქმის ასეთი ვითარება არ აძლევდათ ხელს, რის გამოც მათ გააყალბეს კიდეც იგი, ხოლო საკავშირო ტელევიზიამ, რომელსაც არასოდეს გამოუჩენია ესოდენ დიდი „ყურადღება“ საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში ჩატარებული თათბირისადმი, ამჟამად ქვეყანაში და კერძოდ, საქართველოში არსებული დაძაბული პოლიტიკური ვითარების კიდევ უფრო დაძაბვის მიზნით, არნახული ოპერატიულობით გადასცა ეთერში ეს ყალბი და აშკარად პროვოკაციული ინფორმაცია.

საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო პროტესტს აცხადებს მასობრივი ინფორმაციის ყველაზე მძლავრი ორგანოს — ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის საკავშირო კომიტეტის მუშაობის ასეთ მიუღებელ და პოლიტიკურად სახიფათო მეთოდებთან დაკავშირებით და მოითხოვს მისგან ხსენებული ყალბი ინფორმაციის წყაროზე მითითებას.

**საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო.**

---

## სამეცნიერო - საკონსულტაციო მცირე საწარმო „თავისუფალი პროფკავშირები“

**საწარმოთა, ორგანიზაციათა, კოოპერატივების, მცირე საწარმოების, სააქციო საზოგადოებების ხელმძღვანელთა საყურადღებოდ!**

თქვენ გვერდს ვერ აუვლით ნორმატიული აქტების ათტომეულ კრებულს, რომელიც არეგულირებს სხვადასხვა პროფილის საწარმოთა საქმიანობას სამეურნეო ურთიერთობათა სფეროში, აგრეთვე რომელიც შეიცავს სხვადასხვა მასალების ნიმუშებს.

კრებულის 1-ტომში განიხილება კოოპერატივების ორგანიზაციის, სამეურნეო ხელშეკრულების დადების, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და პროდუქციის ან საქონლის რეალიზაციის, დაფინანსების, კრედიტის საერთო საკითხები.

მე-2 ტომში განიხილება ფასების საკითხი, სამეურნეო დავის გადაწყვეტის, შრომითი ხელშეკრულების აღრიცხვისა და კონტროლის საგარეო ეკონომიკური კავშირების საკითხები.

მე-3 ტომში მოცემულია პირველ ტომში არსებული ნორმატიულ აქტებში ცვლილებები, აგრეთვე „ნალოგის“ შესახებ კანონი.

თავები „სამეურნეო ხელშეკრულებები“ და „მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება“ შევსებულია ნორმატიული აქტებით.

მე-4 ტომში მოცემულია მეორე ტომში არსებული ნორმატიულ აქტებში ცვლილებები. ახალი ნორმატიული აქტები ასახავს ფასწარმოქმნის აღრიცხვისა და აღრიცხვიანობის, სამეურნეო დავის განხილვის საკითხებს. აღნიშნულ ტომში ჩართულია თავი „სოციალური უზრუნველყოფა და დაზღვევა“.

კრებულის მე-5 ტომი შეიცავს მასალების ნიმუშებს, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელონ სახელმწიფო, კოოპერატიულმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა და საწარმოებმა თავიანთ საქმიანობაში: წესდებები, დებულებები, სამეურნეო ხელშეკრულებები, პრეტენზიები, საძიებო და სხვა მასალები.

მე-6 და მე-7 ტომებში მოთავსებულია (ყველა, მათ შორის ერთობლივ საწარმოთა) საგარეო ეკონომიკური ნორმატიული აქტები: ორგანიზაცია, კონტრაქტების დადების წესი, წარმომადგენლობათა გახსნის საკითხები და ა. შ.

მე-8 ტომში მოცემულია საგარეო ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების, კონტრაქტების და სხვა მასალების ნიმუშები.

მე-9 ტომი შეიცავს ნორმატიულ აქტებს და მასალების ნიმუშებს, რომლებიც ეხება იჯარას, სააქციო საზოგადოებებს, მცირე საწარმოებს და სამეურნეო საქმიანობის სხვა ახალ ფორმებს.

მე-10 ტომში მოცემულია ნორმატიული აქტები 1991 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ეს ტომი გამოვა მიმდინარე წლის II კვარტალში.

იჩქარეთ, გააფორმეთ შეკვეთა. ტირაჟი შეზღუდულია.

საწარმოები, რომლებიც გააფორმებენ ჩვენთან ხელშეკრულებას, დროულად და მუდმივად უზრუნველყოფილნი იქნებიან ახალი ნორმატიული აქტებით და მასალებით.

განცხადებები შემოიტანეთ მისამართზე: ქ. თბილისი, 380091, თბილისის ზღვა, სამეცნიერო-საკონსულტაციო მცირე საწარმო. „თავისუფალი პროფკავშირები“.

ტელეფონები: 66-32-68, 66-01-02, 66-03-78.

---

## ვინ შეხვდება მაია ჩიბურდანიძეს, სე ჯუნი თუ ალისა მარიჩი?

ჭადრაკში მსოფლიო პირველობის გათამაშების წესით მსოფლიო ჩემპიონმა ექვსი თვით ადრე უნდა იცოდეს, თუ ვის უნდა შეხვდეს ტიტულის დასაცავად. მაია ჩიბურდანიძის ორთაბრძოლა პრეტენდენტთან 1991 წლის ოქტომბრისათვის არის დანიშნული. ამიტომ შარშან ქალაქ ნოვი-სადში (იუგოსლავია) ფიდე-ს 61-ე კონგრესზე გამოცხადდა, რომ პრეტენდენტთა ფინალური მატჩი სე ჯუნსა (ჩინეთი) და ალისა მარიჩს (იუგოსლავია) შორის 1991 წლის თებერვალში გაიმართება.

და აი, დღეს ბელგრადში დაიწყება პრეტენდენტობის მაძიებელთა შეხვედრა. ამ შეჯიბრებაში გამარჯვებული დიდოსტატი მაია ჩიბურდანიძის მეტოქედ გამოცხადდება.

მატჩის დებულებაში ნათქვამია. მეტოქეებმა 8 პარტიაში უნდა გაარკვიონ ურთიერთობა. ორთაბრძოლის პირველ ნახევარს უმასპინძლებს ბელგრადი, მეორეს — პეკინი. მონაწილეთა დასაჯილდოებლად გამოყოფილია 15 ათასი შვეიცარიული ფრანკი.

შეგახსენებთ, რომ ფინალური მატჩის მონაწილენი დაასახელა პრეტენდენტთა ტურნირმა, რომელიც შარშან ოქტომბერში ბორჯომში ჩატარდა. აქ სე ჯუნმა და ალისა მარიჩმა პირველი-მეორე ადგილები გაიყვეს. თითოეულმა 4,5 ქულა მოაგროვა შვიდ შეხვედრაში. ბორჯომის შემდეგ პრეტენდენტობის კანდიდატები შეხვდნენ ერთმანეთს შარშან ნოემბერში ქ. ნოვი-სადში, ქალთა XIV საჭადრაკო ოლიმპიადაში, სადაც თავიანთი ქვეყნების ნაკრებს თავკაცობდნენ. აქ ჩინეთის ნაკრებმა მესამე ადგილი დაიკავა, იუგოსლაველების ნაკრებმა კი მეხუთე. სე ჯუნმა ყველა, 14 მატჩში მიიღო მონაწილეობა და 11 (+9-1=4) ქულა დააგროვა. მან მოუგო ნონა გაფრინდაშვილს, ყაიმით დაამთავრა შეხვედრები ჟუჟა პოლგართან, ალისა მარიჩთან და სხვებთან. პირველ დაფაზე მესამე ადგილზე გამოვიდა. ალისა მარიჩმა 13 მატჩში 7 (+5-2=6) ქულა დააგროვა, ამიტომ ვერ მოხვდა პირველ ათეულში. იგი დამარცხდა მაია ჩიბურდანიძესთან შეხვედრაში.

მაია ჩიბურდანიძის აზრით, უფრო ძლიერია სე ჯუნი. ასევე ფიქრობს ნონა გაფრინდაშვილი. გამოჩენილი მოჭადრაკეები მომავალ მატჩში გამარჯვებას ჩინელ დიდოსტატს უწინასწარმეტყველებენ.

სე ჯუნი და ალისა მარიჩი თითქმის ტოლნი არიან. ორივე დაიბადა 1970 წელს. ჩინელი 30 ოქტომბერს, იუგოსლაველი — 10 იანვარს. ჭადრაკს ბავშვობიდან თამაშობენ. მარიჩი 4 წლიდან, სე ჯუნი 10 წლიდან. ისინი ახლახან გახდნენ საერთაშორისო დიდოსტატები. ორივე სტუდენტია. იუგოსლაველი სწავლობს ბელგრადის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე, ჩინელი — პეკინის სპორტულ კოლეჯში.

ახალგაზრდა მოჭადრაკეები ნიჭსა და მებრძოლ ხასიათს ამჟღავნებენ, ამიტომ საინტერესო ორთაბრძოლაა მოსალოდნელი.

ასე რომ, მაია ჩიბურდანიძეს პირველად მოუწევს ჭადრაკის დედოფლის ტახტის დაცვა უცხოელი მოჭადრაკის ხელყოფისგან. მანამდე, 1953 წლიდან, რაც მსოფლიო პირველობის მატჩები შემოიღეს, პრეტენდენტები მხოლოდ საბჭოთა მოჭადრაკეები იყვნენ. ამიტომაც სე ჯუნისა და ალისა მარიჩის შეხვედრა სპორტული სამყაროს განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს.

**თენგიზ გიორგაძე,**
**საერთაშორისო არბიტრი.**

---

### ვიზების სათარგმნელად და ანკეტების შესავსებად

**გთხოვთ მიმართოთ ფირმა „ზევსს“, რომლის ადგილსამყოფელიც გადატანილია პეტრიაშვილის ჩიხიდან პეტრიაშვილის ქ. № 3-ში. ვიზების თარგმნა ხდება ერთ დღეში. ფირმა „ზევსი“ თქვენ მიგიღებთ ყოველდღე, დასვენების დღეების ჩათვლით, 9-დან 21 საათამდე.**

**გთხოვთ გვეწვიეთ.**

---

ახალგაზრდა ივერიელი

Общественно - политическая молодежная газета «Ахалгазрда Ивериели»

ტელეფონები: მისაღები — 98-97-81; პასუხისმგებელი მდივანი — 98-81-56; წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი ზურაბ გალარჯიშვილი

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა, თბილისი, ვ. კოსტავას 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ბ-ჭიშარაულის 29.

% 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15

Наш индекс 66400

რედაქციის მისამართია: ქ. თბილისი — 380096. ვ. კოსტავას ქ. № 14.